მილოცავთ დამდეგ 2005 წელს!

საქართველოს რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 30 დეკემბერი, 2004 წელი. №303 (5032) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

◎ დღე

გემუდარებით, არ მოკლათ შალვა ნათელაშვილი!

ამ წინასაახალწლო გაწამაწიაში, როცა დედაქალაქი ლამის საგიჟეთს დაემსგავსოს, კიდევ ეს გვინდოდა? საქართველოს ლეიბორისტული პარტიის თავკაცები ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს „შემზარავი“ თხოვნით მიმართავენ: „შეიყვანეთ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საერთაშორისო ტერორისტთა სიაში“.

საწყალი ამერიკა. ჯერჯერობით, ბენ ლადენისთვის ვერ მოუვლია, ახლა მიხეილ სააკაშვილიც დაემატა... თანაც, საშობაო არდადეგების დროს. ამ ამბავს რომ შეიტყობენ, რაღა საახალწლო ზეიმი გამოუვათ.

გუშინწინ, დაახლოებით დამის 11 საათზე, ლეიბორისტთა ლიდერი სახლში, სპორტის სასახლესთან, ოჟინის ქუჩაზე (№1) დაცვასთან ერთად ბრუნდებოდა. ჩასაფრებული ტერორისტები, თურმე შალიკოს დაცვის და სავაჭრო ჯიხურებიდან მეზობლების გამოსვლის შემდეგ, შეშინებულან და მეტრო „პოლიტექნიკურის“ მიმართულებით, თავქუდმოგლეჯილნი გაქცეულან!

იხ. მე-2 გვ.

◎ წინასაახალწლოდ

ნაძვის ხეც მოსწონს და ჩიჩილაკიც...

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ნომერში წაიკითხავთ:

„ჩვენ უნდა დავიბრუნოთ სტაბილური, ძლიერი რეგიონის იმიჯი“

ნომრის სტუმარია პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში გიგი უგულავა

მე-3 გვ.

ზურაბ წერეთელი: იმ ჯილდოებს შორის, რომლებიც დღემდე მიმიღია, ყველაზე ძვირფასი ჩემი სამშობლოს უმაღლესი აღიარებაა

მე-4 გვ.

◎ ჟამი შეჯამებისა

მიხეილ სააკაშვილი: ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებთ

წლევანდელი წელი იყო ყველაზე წარმატებული ჩვენი დამოუკიდებლობის შემდგომი წლებიდან და ღმერთმა ქმნას, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო წარმატებული ყოფილიყოს. ჯერჯერობით, ყველა სურვილი, რაც მქონდა ჩაფიქრებული თითქმის ამახდა. რახან ასეა საქმე, მომავალი წლისთვის ბევრად მეგს ჩავიფიქრებ, რათა ასევე მეტი ამახდეს. – ეს სიტყვები საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, სადაც მან წლევანდელი წელიწადი შეაჯამა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. ვრცელ მასალას გაზეთის ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

◎ სარედაქციო ფოსტიდან

„რაღა ჩემს გადადგომას ელოდებოდა!“

როგორც ჩვენს მკითხველს მოეხსენება, ამ დღეებში „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე ქვეყნდება ცნობილი დიპლომატის ალექსანდრე ჩიკვაიძის მემუარული წიგნის („პოლიტიკური ჭადრაკი“) ნაწყვეტები.

ამ პუბლიკაციასთან დაკავშირებით გუშინ რედაქციამ მიიღო ყოფილი საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ბატონო რედაქტორო,

არ მიმაჩნია საჭიროდ ალექსანდრე ჩიკვაიძის წერილებზე რეაგირება, მაგრამ საზღვარი ხომ ყველაფერს აქვს, ამ ოჯახაშენებულს ამდენი ბოლმა თუ ჭქონდა გული, რაღა ჩემს გადადგომას ელოდებოდა!

საგარეო საქმეთა მინისტრობიდან ელჩად გადაყვანაში არაფერი მოულოდნელობა არ იყო, ვერ ვიტყვი, რომ ის ცუდად მუშაობდა, მაგრამ ქვეყანა ფეხზე დგებოდა და უცხოეთის ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის პრობლემების ცოდნას, აქ კი ბატონი ალექსანდრეს დონე საკმარისი აღარ იყო.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მისი ელჩად გამწესება საბერძნეთში, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრად ვიცე-პრემიერი ირაკლი მენაღარიშვილი დავნიშნეთ. ბატონი ირაკლი შესანიშნავად იცნობდა საქართველოს პრობლემებს, მის საჭიროებებს, უცხოელებთან ურთიერთობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა და სულ მალე შედეგებსაც მივაღწიეთ. ამაზე ცალკე შეიძლება საუბარი.

ბატონი ალექსანდრე კარგი ელჩი იყო და საბერძნეთთან ურთიერთობაში ბევრი რამ სასარგებლო გაეკეთა. შემდეგ შვეიცარიაში გადაყვანა გვთხოვა. დავთანხმდი. იქ მუშაობასთან დაკავშირებითაც არ მაქვს შენიშვნები.

ჩემი და ბატონი ირაკლის კურსი იყო საელჩოების განმკაცება, ეს ითქმის კოტე გაბაშვილზე, თედო ჯაფარიძეზე და სხვებზე.

ერთმა ფრაზამ მართლა ამაღელვა და გამაოცა კიდეც. თურმე შევარდნაძე ამერიკელებთან ურთიერთობას მეტ ყურადღებას უთმობდა, ვიდრე რუსეთთან.



* * *

შევახსენებ მასაც და პატივცემულ მკითხველსაც: დაწყებული 1992 წლიდან, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გვეხმარებოდა მარცვლეული, საკვები პროდუქტებით, კრედიტებით (სხვადასხვა არხებიდან), ბოლოს, ჩემი თხოვნით, უმნიშვნელოვანეს სამხედრო დახმარებას გვიწევენ, სასაზღვრო ჯარების შექმნის ჩათვლით. საბოლოო ჯამში, ჩვენ ამერიკელების სტრატეგიაში პარტნიორები გავხდით. ვინმემ გამოითვალოს, რა მოცულობას შეადგენს ეს დახმარება? ის ქართული ბატალიონები, ყველა მოქალაქის გულს რომ ახარებენ, სწორედ ამერიკელი სპეციალისტების მომზადებულია, იმითაც დაინტერესდით, რა უჯდებათ ყოველივე ეს ჩვენს მეგობრებს.

რაც შეეხება რუსეთს, მას ზურგს როგორ შევაქცევდით, თვითონ მოიწვევდნენ ჩვენკენ. გეკითხებით, ვის სინდისზეა აფხაზეთი და ამ რეგიონიდან 300 ათასი კაცის გამოდევნა, მხოლოდ იმიგომ, რომ ისინი ქართველები არიან? სამხრეთ ოსეთი არ უნდა გავიხსენოთ?

სამწუხაროდ, რუსეთის ხელმძღვანელობასთან ათობით შეხვედრა უშედეგო აღმოჩნდა, მდგომარეობა კი ამ რეგიონებში, სწორედ რუსეთის წყალობით, უცვლელია.

სხვა საკითხებზე არ შევჩერდები. ვიცი, კიდევ გამოჩნდებიან უკმაყოფილნი. მხოლოდ ერთ რამეს შევახსენებ ყველას: ნანგრევებიდან დემოკრატიული სახელმწიფო ავაშენეთ. ახლაც უჭირთ ჩემს მემკვიდრეებს, მაგრამ ის ათი ჯოჯოხეთური წელი ხომ რკინის ნერვებს და სიცოცხლის სასწორზე დადებას ნიშნავდა. ამით ვამთავრებ, მადლობელი ვარ ყურადღებისთვის.

ედუარდ შევარდნაძე.

◎ პრეზიდენტი

ახალ წელს მიულოცავს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღეს ოზურგეთს ესტუმრება და მოსახლეობას დამდეგ 2005 წელს მიულოცავს.

მიხეილ სააკაშვილი ოზურგეთის რაიონში ჩავა და საახალწლო ნაძვის ხის მორთვაში მიიღებს მონაწილეობას.

ვიზიტის ფარგლებში გათვალისწინებული ოფიციალური ღონისძიებების შემდეგ, პრეზიდენტი მოსახლეობას შეხვდება და მათ პრობლემებს პირადად გაეცნობა.

როგორც პრეზიდენტის პრესსამსახურში აცხადებენ შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილმა დღეს საქართველოს სხვა რეგიონებიც მოინახულოს.

პრეზიდენტი თბილისში დღესვე დაბრუნდება.

◎ პრემიერ-მინისტრი

სტუმრად — ლიახველებთან

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა დღეს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დიდი და პატარა ლიახვის ხეობებს ესტუმრებიან.

ზურაბ ჟვანია და გიორგი ხაინდრავა მოსახლეობას შეხვდებიან და მათ დამდეგ ახალ წელს მიულოცავენ.

ხაინდრავას თქმით, არ არის გამორიცხული, რომ დღევანდელი ვიზიტის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის არაფორმალური შეხვედრაც გაიმართოს.

სამძიმარი მთავრობის სახელით

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, მთავრობის სახელით, აზიაში მიწისძვრით დაზარალებულ ქვეყნებს, სადაც დაღუპულთა რიცხვმა ამ დროისთვის 65 ათასს მიაღწია, სამძიმარს უცხადებს. ამის შესახებ მან განცხადება გუშინ მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

პრემიერის თქმით, ბოლო ათასწლეულში ასეთი მასშტაბური მიწისძვრა არ ყოფილა. ყველა იმ ქვეყნის მიმართ, რომელთაც ეს საშინელი ტრაგედია შეემთხვათ, დიდ მწუხარებას გამოვხატავ, – განაცხადა ჟვანიამ.

ინტერ-პრესი.

◎ ინფორმაცია

ბადრი ბიწაძემ შატილში, ბირვეტა და ომალოში მესაზღვრეები მოინახულა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ გუშინ საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე განლაგებული სასაზღვრო საგუშაგოები მოინახულა და მესაზღვრეებს საახალწლოდ ტკბილეული ჩაუტანა.

სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელობამ, გენერალ-მაიორ ბადრი ბიწაძის მეთაურობით, შატილში, ბირვეტა და ომალოში განლაგებული სასაზღვრო საგუშაგოები დაათვალიერა და მესაზღვრეებს დამდეგი 2005 წელი პირადად მიულოცა. ტკბილეულის გარდა, შატილში მოქმედი სასაზღვრო საგუშაგოს მესაზღვრეებს საჩუქრად ტელევიზორიც გადასცეს.

როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებს განუცხადა, მესაზღვრეებს სამსახური რთულ პირობებში უწევთ და ისინი თავრობისგან მეტ ყურადღებას საჭიროებენ. ამასთან, ბიწაძის თქმით, მომავალი წლიდან მესაზღვრეთა პირობები მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდება.

მარნეული-სადახლოს გზა განახლდა

ქვემო ქართლში, მარნეულის რაიონში გუშინ 20 კილომეტრის სიგრძის განახლებული საავტომობილო გზის მონაკვეთი ოფიციალურად გახსნა. საზეიმო ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსი ალექსიშვილი და საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელი რომან დალაქიშვილი დაესწრნენ.

ეს გზა მარნეულს საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვართან მდებარე სოფელ სადახლოსთან აერთებს.

როგორც დალაქიშვილმა განაცხადა, ამ მონაკვეთზე აღდგენითი სამუშაოები 2003 წლიდან დაიწყო. სამუშაოებისთვის მსოფლიო ბანკმა 13 663 000 ლარი გამოყო. გზა მთლიანად ასფალტის ახალი საფარით გადაიფარა.

ზურაბ ჟვანიას განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებისთვის ერთერთი მთავარი პრიორიტეტი ქვეყანაში არსებული გზების აღდგენაა. ანალოგიური აღდგენითი სამუშაოები სხვა რაიონებშიც იგეგმება, რისთვისაც მომავალი წლის ბიუჯეტში 200 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

გუშინ ზურაბ ჟვანია განახლებული გზის მონაკვეთის შესამოწმებლად საჭეს პირადად მიუჯდა.

ქუთაისის ვიცე-მერი ამხელს...

ქუთაისის ვიცე-მერი ზურაბ დათუაშვილი აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილ ვითარებას, რასაც ერთი კვირის წინ რექტორის გადადგომა მოჰყვა, არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის“ ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელის გოჩა ჩხეტიას დაგეგმილ პროვოკაციას უწოდებს.

ვიცე-მერის განცხადებით, სტუდენტების მიერ თავისსავე თანატოლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლენილ კორუმპირებულ ლექტორთა სიაში თავად დათუაშვილის გვარის გაჟღერებაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელის მიერ არის შეკვეთილი.

ქუთაისის ვიცე-მერი ზურაბ დათუაშვილი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელია.

„თუმცა, არ ვთვლი, რომ ეს „თავისუფლების ინსტიტუტის“ პოზიციაა. ამ შემთხვევაში, ჩხეტია ჩემი პიროვნული მტერია“, – განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე ზურაბ დათუაშვილმა, რომელსაც მიაჩნია, რომ ჩხეტია მას იმის შემდეგ გადაეკიდა, რაც ცნობილი გახდა, რომ შესაძლოა რექტორის სავარაუდო კანდიდატი ყოფილიყო.

ინტერ-პრესი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ლორ მანდელბაუმი, (საფრანგეთი), 29 დეკემბერი.

LEFIGARO

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი: მოსკოვი უნდა შეუერიგდეს იმას, რომ ხელი აიღოს იმპერიის აღდგენაზე

სალომე ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ უკრაინის „რევოლუციამ“ უნდა შეუწყოს ხელი რეგიონში სტაბილურობის დამყარებას

2004 წლის მარტში 51 წლის სალომე ზურაბიშვილი, რომელიც იმ დროს საქართველოში საფრანგეთის ელჩი იყო, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. ასეთი რამ პირველად მოხდა დიპლომატიის ისტორიაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ესაუბრა ფრანგული გაზეთის „ფიგაროს“ კორესპონდენტი ლორ მანდელბაუმი. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

LE FIGARO: ერთი წლის წინ საქართველო გახდა ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებიდან პირველი, ბალტიისპირეთის ქვეყნების შემდეგ, რომელშიც დაიწყო პოსტკომუნისტური ნომენკლატურის რეჟიმის დამხობისთვის გამიზნული დემოკრატიული რევოლუცია. ასეთივე ტიპის რევოლუცია მიმდინარეობს ახლა უკრაინაში. რა გამოხმაურებას პოვებს „კიევის მიწისძვრა“ რეგიონში?

სალომე ზურაბიშვილი: ამას ექნება შედეგები მთელი მსოფლიოსთვის, უწინარეს ყოვლისა, ჩვენთვის, რადგან საქართველო აღარ იქნება ერთადერთი დემოკრატიული პლაცდარმი ამ რეგიონში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს როგორც მხარდაჭერა, ისე ნეგატიური მიდგომა რუსეთისა და დსთ-ს იმ სხვა ქვეყნების მხრიდან, რომლებსაც არ სურთ მათთან ამ „დაავადების“ გავრცელება. უკრაინის მნიშვნელობა ასევე გადამწყვეტი იქნება დემოკრატიის მონად შავი ზღვის გარდაქმნისთვის. ბულგარეთი და რუმინეთი, რომლებიც ემზადებიან ევროკავშირში გაწევრიანებისთვის, უკრაინა, რომელიც დააჩქარებს ევროკავშირთან ურთიერთობის განვითარებას, და ჩვენ – საქართველო – ამით რეგიონი მოიგებს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით.

იხ. მე-2 გვ.

ინტერპანორამა

უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იანუკოვიჩი პოზიციებს არ თმობს და ხმამაღლა აცხადებს, რომ გადადგომას არ აპირებს, მიდის ხანგრძლივ შვებულებაში, ვიდრე არჩევნების შედეგები საბოლოოდ არ გამოქვეყნდება. ის ძველებურად უკანონობაში ამხელს თავის პოლიტიკურ ოპონენტებს და იმუქრება:

უახლოეს მომავალში მე საკუთარ სიტყვას ვიტყვიო...

ბაილანდში გამოაქვეყნეს 435 დაღუპული უცხოელის სია, რომელთა შორის 8 რუსეთელია.

როგორც ქვეყნის ხელისუფლება აცხადებს, სტიქიური უბედურებისგან ამ ადამიანების ტრაგიკული სიკვდილი უკვე დადასტურებულია. 5000 უცხოელი კი ჯერ კიდევ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 303. ხუთშაბათი. 30 დეკემბერი. 2004 წელი.

◎ ცხელი თემა

გაიხსნება საუკუნის აფორა?

ანუ აისბერგის წვერი, „თეთრსაყელოიანი ვირთხები“ და გახრული კრედიტები

ანაბრების საკითხისთვის სიცხადის მინიჭება გუშინდელ პლენარულ სხდომაზეც სცადა პარლამენტმა. როგორც იცით, ერთი თვის წინათ შექმნილმა მომხსენებელთა ჯგუფმა დაასკვნა, 1992-1993 წლებში ანაბრების გაუფასურება სახელმწიფოსთან შეზრდილი დანაშაულებრივი კავშირის შედეგი იყო. ისე, კაცმა რომ თქვას, ამას რა დიდი კვლევა-ძიება სჭირდებოდა, დანაშაული რომ იყო, ისედაც იცოდა ხალხმა. გამოსაკვლევი სხვა რამ იყო – მიზეზები და გვარები. მომხსენებლებმა თურმე ერთიც გამოიკვლიეს და მეორეც, მაგრამ გვარების დასახელებისგან თავი შეიკავეს – უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა იქნებაო. ფართო საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ ანაბრების გაუფასურებაში დიდი როლი დღევანდელმა პარლამენტარმა ვანო ჩხარგიშვილმა შეასრულა, მაგრამ მომხსენებელთა ჯგუფი მას ღამის თავდებად დაუდგა – თუ ვინმე მისი დანაშაულის დამტკიცებას შეძლებს, ა – ხმალი, ა – კისერიო. დათო საგანელიძემ ხაზგასმით განაცხადა, ჩხარგიშვილის ბრალეულობა რომ გამოკვეთილიყო, კოლეგიალობაზე მაღლა ჩემს სინდისს, ღირსებას დავაყენებდი და საჯაროდ დავადებდი ხელს დამნაშავეს. მოგვიანებით თავად ბაგონი ვანოც დადგა გრიბუნასთან. ხაგის წინ დაფიცებულის იერით უარყო ათი წლის განმავლობაში მოარული ხმები.

მომხსენებელმა ჯგუფმა ანაბრების გაუფასურებაში ნომერ პირველ დამნაშავედ შევარდნაძის ხელისუფლება, ანუ „თეთრსაყელოიანი ბანდიტები“ მიიჩნია, რომლებიც მილიონობით მანეთსა თუ კუპონს იღებდნენ ეროვნული ბანკიდან კრედიტების სახით. ეს განზოგადებული განცხადება ძალზე არ მოეწონა ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარეს ბესო ჯუღელს – იმ ხელისუფლების დროს მეც მაღალჩინსანი ვიყავი და ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ რაიმე წესით მიმიძღვის ამ დანაშაულშიო. ისიც იკითხა, „თეთრსაყელოიან ბანდიტებს“ რომ ახსენებთ, „თეთრსაროჩკიან“ ხალხს ხომ არ გულისხმობთო და დაინტერესდა, მომხსენებელ ვასილ მაღლაფერიძეს რაგომ არ ეცვა თეთრი „საროჩკა“. სხვათა შორის, თავად ბაგონი ბესო, როგორც ყოველთვის, ელეგანტურად გამოყურებოდა და მაღლაფერიძის მსგავსად ნაცრისფერი სვიტერი კი არ ეცვა, თეთრ პერანგსა და ჰალსტუხში იყო გამოწკეპილი. ისე, რა ამის პასუხია და, ბაგონი ბესოს გამოსვლამ რაგომღაც ერთი ქართული ანდაზა გამახსენა, პილპილსა და პირის წვას რომ ეხება. თუმცა, პირდაპირი მნიშვნელობით კი ნუ გაიგებთ, ჯუღელის გვარი კრედიტორთა გვერდით არასდროს გაჟღერებულა.

რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძეს, რომლის დაჭერაც მოითხოვა ზვიად ძიძიგურმა, მას უმთავრეს დამნაშავედ მიიჩნევენ პარლამენტარები. შევარდნაძის პასუხისმგებლობის საკითხი რამინ გოგოხიამაც დააყენა – პასუხი რომ არ უგია, იმიგომ გვიკითხავს ხოლმე კრწანისის რეზიდენციიდან ლექციებს დემოკრატიიზეო. ვასილ მაღლაფერიძემ აღნიშნა, რომ ეს პროცესი ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლამდე დიწყო. თუმცა ეს, ცხადია, მის პასუხისმგებლობას არ ამცირებს, რადგან, ბაგონი ვასილის თქმით, შევარდნაძემ მისთვის ხელსაყრელად, ადამიანების სამართავად გამოიყენა დაწყებული პროცესი – ფულს მოაპარვინებდა და შემდეგ ყურებით დაიჭერდა მისივე წაქეზებით დანაშაულის ჩამდენ პირებს. ისიც თქვა, რომ მხოლოდ შევარდნაძემ არ უნდა იგვრთოს სხვათა ცოდვებიც კეთილი ადამიანის იერით, ყველამ თავის წილ დანაშაულზე უნდა აგოს პასუხი.

– არ ვიცი, მაშინ რა პრინციპით მუშაობდა მთავრობა, მე არ ვყოფილვარ ხელისუფლების რომელიმე შტოს წევრი, მაგრამ, ალბათ, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრების, ბანკისა თუ სხვათა აზრებიც იქნებოდა გათვალისწინებული. ჩვენს მთავრობას ჯვარი სწერია და, დღეს რომ მსგავსი პრობლემა დადგეს, კოლექტიურად მოეკითხება პასუხი მინისტრთა კაბინეტს, კულტურის მინისტრსაც კი, – აღნიშნა მთავარმა მომხსენებელმა.

მართალია, ვასილ მაღლაფერიძეს კრედიტორთა და რეკომენდატორთა გვარები არ დაუსახელებია, მაგრამ სამომავლოდ ერთი რამის გათვალისწინებას მიიჩნევს საჭიროდ:

– ამ პროცესში მონაწილე პირებს, როგორც მინიმუმი, სახელმწიფო სამსახურში უნდა აეკრძალოთ მუშაობა, რადგან ეს იყო ყველაზე დიდი ღალატი ქვეყნის ყველაზე რთულ მომენტში.

დათო ბერძენიშვილმა ეროვნული ბანკის იმჟამინდელი პრეზიდენტის, დვალიშვილის სიტყვები გაიხსენა – მე კრედიტებს რეკომენდატორებს ვაძლევო. თქვენც რომ მოხვიდეთ (დათო ბერძენიშვილისა და ვახტანგ ხმალაძისთვის უთქვამს), მოგცემთო. მართალია, ისინი არ მისულან არც სათავესთან, არც საშუამდგომლოდ, მაგრამ სხვები კი მრავლად მიდიოდნენ.

– როცა დარბაზში კვორუმი არ იყო, ვხუმრობდით კიდეც, დვალიშვილის კაბინეტთან იქნება დეპუტატთა საჭირო რაოდენობაო, – გაიხსენა ბაგონმა დავითმა. შემდეგ გრიგალაშვილის სიტყვიდანაც გაირკვა, რომ დვალიშვილს ბაგონი ნოდარისთვისაც უთქვამს, ოღონდ ნუ მაკრიტიკებ შენი გაზეთის ფურცლებიდან და კრედიტს მოგცემო. მოკლედ, ასე გამოდის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი თვითონ ეხვეწებოდა ყველას, კრედიტი აიღეთო, და ბევრი ვერ უძლებდა ცდუნებას.

ბესო ჯუღელმა ერთი ღიმილისმომგვრელი წინადადება წარმოსთქვა – არ მინდა, ხანში შესულ კაცს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ შევარდნაძე ციცერონი კი არ იყო, იქნებ ვერც გაიგო, რა ეწერა იმ დეკრეტში, რომელსაც ხელი მოაწერაო. ბაგონ ბესოს აინტერესებდა, ვინ მოამზადა 124-ე დეკრეტი. ამაზე ვასილ მაღლაფერიძემ პასუხი ვერ გასცა.

გუშინდელ სხდომაზე კვლავ მძაფრ დაინტერესებას გამოხატავდნენ დვალიშვილის ჟურნალის მიმართ. პარლამენტართა აზრით, მისი აღმოჩენა, სწორედ რომ, ღუსგრაცია იქნება. ჟურნალი, რომელშიც უკვე 12 წელიწადია საიდუმლონარევი ხმით საუბრობენ, მომხსენებელთა ჯგუფმა ისინი, ვინც სხდომათა დარბაზში დარჩნენ, ანაბრების საკითხის შემდგომ კვლევა-ძიებას ერთხმად უჭერდნენ მხარს. ერთსულოვნად უარყვეს ის აზრიც, რომ დანაშაულის ხანდაზმულობის გამო (რაკი 8 წელზე მეტია გასული) შეიძლება, პასუხი არ მოსთხოვონ დამნაშავე პირებს.

ვასილ მაღლაფერიძის თქმით, საუკუნის აფიორის უამრავი მსხვილმანწერილმანი დეტალია გამოსაძიებელი და დასაზუსტებელი: – ჯერ მხოლოდ აისბერგის წვერი გამოვაჩინეთო.

როდის გაახსნება საუკუნის აფიორა და რანაირი აღმოჩნდება აისბერგის „შიგთავსი?“

რუსულიდან გაახარია.
ჯემალ კასრაძის ფოტო.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ლორ მანდეკილი
(საფრანგეთი), 29 დეკემბერი.
LEFIGARO

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი: მოსკოვი უნდა შეეურიგდეს იმას, რომ ხელი აიღოს იმპერიის აღდგენაზე

სალომე ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ უკრაინის „რევოლუციამ“ უნდა შეუწყოს ხელი რეგიონში სტაბილურობის დამყარებას

(პირველი გვერდიდან)

სკის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რუსეთი დემოკრატიული სახელმწიფო გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყვის იმპერიულ მისწრაფებებზე?

სალომე ზურაბიშვილი: მთლიანად ვეთანხმები. კერძოდ, ეს ეხება საზღვრებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ვერ ააშენებ სახელმწიფოს, თუ არ აღიარებ ზუსტ და გამჭვირვალე საზღვრებს. საქართველომ უკვე განვლო ეს გზა, რუსეთმა კი ჯერჯერობით არ იცის თავისი საზღვრები. ბალტიისპირელებს ეს კარგად აქვთ შეგნებული, რადგან ისინი, ისევე როგორც ჩვენ, ქართველები, გადაატარეს იმას, რომ რუსეთი უარს ამბობს თავისი საზღვრების მონიშვნაზე. როცა რუსეთი ლაპარაკობს კავკასიაში თავის ინტერესებზე, იგი ჩეჩნეთთან ერთად საქართველოსაც გულისხმობს, კარგად ვერ განუსხვავებია, თუ რა არის მისი, და რა – არა. ეს ძალზე ნიშანდობლივია.

LE FIGARO: თუ არის შესაძლებელი, რომ კრემლის გუნდმა არჩევანი დემოკრატიის სასარგებლოდ გაკეთოს? ყოველივე ეს ხომ არ გამოიწვევს ზედმეტ ვნებათაღელვას კიევში მომხდარი მოვლენების გამო?

სალომე ზურაბიშვილი: იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ რამდენად ქმედითი აღმოჩნდა უკრაინის ეფექტი, საჭიროა, რომ უკრაინის რევოლუცია ბოლომდე მიიყვანონ. ამჟამად ჩვენ ყველაზე რთულ ეტაპზე ვიმყოფებით, რადგან რუსეთი ჯერ კიდევ არ შერიგებია მარცხს. ამ შუალედურ ეტაპზე იგი, პირიქით, ცდილობს გაბრძოლებას. ჩვენ ვართ მოწმე შეცდომათა მთელი სერისა, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით დაუშვეს არა მარტო კიევში, არამედ აფხაზეთშიც, სადაც კრემლი ეცადა გამოიყენებინა ზემოქმედების მექანიზმები, რათა არჩევნებში სასურველი შედეგისთვის მიეღწია. ახალი კი ის არის, რომ რუსეთმა ყველგან იწვნია მარცხი, თავისი ფინანსური ზემოქმედების ბერკეტების, აფხაზეთში რუსი სამხედროების ყოფნის, პრესაზე კონტროლის დაწესებისა და, იმის მიუხედავადაც კი, რომ პუტინმა სოჭში მიიწვია უიღბლო კანდიდატი. რუსეთი კვლავ იყენებს ზემოქმედების მეთოდებს, რომლებიც უკვე ვეღარ სჭრის. ეუთოს სოფიის კონფერენციის დროს რუსეთმა ძალზე მკვახე განცხადებები გააკეთა. ეს რომ ასე თხუთმეტიოდე წლის წინ მომხდარიყო, დამღუპველი შედეგები მოჰყვებოდა. მაგრამ ახლა, ამას მთელი მსოფლიო ღიმილით შეხვდა. რადგან, ამ ანაქრონიზმით აღსავსე გამოსვლებს ღრმა შთაბეჭდილება არავისზე მოუხდენია. დაშინებას საბჭოურად აღარ აქვს ეფექტი.

დაშინების მექანიზმი, მართალია, უკვე ვეღარ ამართლებს, მაგრამ საფრანგეთსა და გერმანიაში მაინც გამოთქვამენ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არ არის საჭირო „რუსეთის უკიდურესობამდე მიყვანა“. მთელი თვე ინფორმაციებს კი იყვნენ მშად, რომ დათანხმებოდნენ უკრაინის ორად გახლეჩას, ოღონდ დაეოკებინათ მოსკოვი...

რუსეთის დაშომშინება აუცილებელია. მთავარია დიალოგი. მაგრამ დაუშვებელია მისი დამშვიდება იმით, რომ შესაჭმელად მიუგდონ უკრაინა ან აფხაზეთი. ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ასეთი დათმობებით რუსეთის გულს მოიგებენ, მწარედ ტყუვდებიან. რუსეთის აგრესიული მუხტის განლევა შესაძლებელია დიალოგის მეშვეობით, მაგრამ დიალოგი მტკიცე და უკომპრომისო უნდა იყოს. რუსებს უნდა შევაგონებინოთ, რომ მათ აღარ უნდა ჰქონდეთ წარსულის დაბრუნების იმედი, რადგან ეს შეუძლებელია. რუსეთი მხოლოდ მაშინ დაიკავებს თავის ნამდვილ ადგილს უკრაინასა და კავკასიაში, როცა აღიარებს თავისი პარგნიორების დამოუკიდებლობას.

LE FIGARO: თუ არის შესაძლებელი, რომ რუსეთმა პროვოკაციულად გამოიწვიოს აფხაზეთის მსგავსი კონფლიქტი?

სალომე ზურაბიშვილი: ამის მცდელობა შეიძლება მოხდეს თვით რუსეთის სისტემაში, რომელსაც გადაწყვეტილებათა მიღების სრულიად გაუგებარი მექანიზმი აქვს. სწორედ ამგომ, მთავარია დროულად გავაფრთხილოთ რუსეთი, თავი შეიკავოს მოუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმისგან.

LE FIGARO: საქართველოში თქვენ უკვე ცხრა თვეა მუშაობთ. რა ძირითად სირთულეებს გადაეწყდით?

სალომე ზურაბიშვილი: ეს ძალზე რთული მისიაა, რადგან ქართული დიპლომატია, შეიძლება ითქვას, „ეგზისტენციალურია“. არ არის არაფერი. ვვეშეტრებიან დაბომბვით. ვვედავებიან საზღვრებთან დაკავშირებით... მიმდინარე წლის მაფხულში ოსეთის კრიზისი შეიძლებოდა ნამდვილ ომში გადაზრდილიყო. მე მოვდივარ „ელიტური დიპლომატიიდან“, სადაც გაქვს უფლება დაუშვა ესა თუ ის შეცდომა, რადგან სასწორზე არ არის დადებული ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი. საქართველოში კი ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს ღრმა კრიზისის მიზეზი. ამიგომ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ვარ განმსჭვალული. ამ პასუხისმგებლობას კიდევ უფრო მეტად ზრდის ის, რომ ხალხმა უდიდესი ნდობა გამომიცხადა. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისიც, რომ მე ჩამოვედი საფრანგეთიდან, მაქვს ქართული ფესვები, მაგრამ „ევროპასაც ვეკუთვნი“. მიაჩნიათ, რომ მე ყველაფრის გაკეთება შემიძლია. ეს უაღრესად რთულია, მაგრამ უდიდეს სტიმულსაც მმატებს.

LE FIGARO: თქვენი აზრით, შესაძლებელია საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში?

სალომე ზურაბიშვილი: დიახ. საქართველოს მოსახლეობა თავს ევროპელად მიიჩნევს. იგი უფრო მეტად ესწრაფვის თავისი ევროპელობის აღიარებას, ვიდრე თვით სტრუქტურებში გაწევრიანებას. ამ სტრუქტურებთან შეერთება კი საქართველოს სურს იმის გამო, რომ იგი თავს დაუცველად გრძნობს „რუსეთის შესაძლო მოქმედების“ წინაშე.

მოამზადა
სიმონ კილაძემ.

◎ დღე

გემუდარებით, არ მოკლათ შალვა ნათელაშვილი!

(პირველი გვერდიდან)

გუშინ ლეიბორისტთა იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ ამ ფაქტისადმი მიძღვნილ საგანგებო ბრიფინგზე დასძინა: პარტიის თავმჯდომარის ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ, მის სახლთან და მთავარ ოფისთან თითქმის მუდმივად შეინიშნებოდა თეთრი ფერის „ვაზ-2107“ მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით – „007“.

კახა ძაგანიას აღიარებით, „მიხეილ სააკაშვილს თავის პარტიაში დიდი ხანია შექმნილი აქვს ტერორისტული ქვედანაყოფები (!), სახელწოდებით – „სწრაფი გადაადგილების რაზმი“, რომელშიც თავმოყრილი არიან კრიმინალები, მკვლელები, ნარკომანები. უფრო მეტიც, – მსგავსი კადრებით არის დაკომპლექტებული უშიშროების სახელმწიფო სამსახურები, სადაც ამ კაგებეგორიის მკვლელებს ტერორისტული აქტებისთვის ამზადებენ“...

უყურე შენ! – ქვეყნის ახალგაზრდა პრეზიდენტი, თავისი პირდაპირობით და შეუვალობით „ვარდების რევოლუციის“ მთავარი შემოქმედი და მსოფლიოში აღიარებული ყველაზე ახალგაზრდა ლიდერი რომ ვეკითხოთ, „საერთაშორისო ტერორისტი“ არ ყოფილა?

თუმცაღა, რა შუაშია „საერთაშორისო?“ – მიხეილი და შალვა ხომ ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები არიან და მათი „შერკინება“ აგერ, აქვე, სპორტის სასახლის მიდამოებში არ უნდა მომხდარიყო?

ან რა ბედენაა პრეზიდენტის ისეთი ტერორისტული ქვედანაყოფი, რომელიც შალვას დაცვას და რამდენიმე მეზობელს შეუშინდება? საბჭოური მარკის „007“-ით ვეფინდა ლეიბორისტთა ლიდერის „ზებგერითი“ საუბარი ჩავახშოთ?

ნამეტნავად უსუსურად გამოიყურებიან პრეზიდენტის მოგზავნილი მკვლელები.

ლეიბორისტები აპირებენ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს „საქართველოში ტერორისტულ დიქტატურასთან დაკავშირებით“ დეტალური მასალები წარუდგინონ.

ამ მასალებს, ბუნებრივია, გამოძიება, – დადასტურება ან უარყოფა სჭირდება.

ამ პროცესისთვის რამდენიმე თვე მაინც არის საჭირო.

ამიგომ, პრეზიდენტის ტერორისტებო, გემუდარებთ, არ მოკლათ შალვა ნათელაშვილი, აცალეთ, თავისი ჭია გაახაროს და ჩვენც სეირს ვუყურებინოს.

ისე, რა გაზვიადების და ჰიპერბოლის ოსტატები ვართ ქართველები? ხომ გახსოვთ დიდი ვაჟა, ქორმა რომ პაწია წიწილა წაიღო, „სისხლი წავიდა ღვარადა, წალეკა მთა და ბარია, არაგვს გზა დაათმობინა და გადაეკეთა მტკვარია“...

შალვა ნათელაშვილს, ამ არშემდგარი ტერორისტული აქტით, ფრჩხილიც რომ წამოსტკენოდა, იმ წიწილაზე უფრო უარესი ამბავი დატრიალდებოდა.

წიწილის არა, მაგრამ მამლის წელიწადს ვილოცავთ, ლეიბორისტებო, მრავალს დასწრებოდეთ!

სპარტაკ ძოგულია.

◎ აქცენტი

დავით აღმაშენებელზე „კინოქალაქი“ აშენდება

სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ საქართველოს მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, საქართველოს მთავრობის სახელით, თანაგრძნობა გამოუცხადა აზიაში მიწისძვრით დაზარალებულ ქვეყნებს. შემდეგ მან ყურადღება გაამახვილა უმწვავეს პრობლემაზე – საახალწლოდ რეგიონებისთვის შეუზღუდავი ელექტროენერგიის მიწოდებაზე. 2005 წლის მთავარი პრიორიტეტი „ენერგეტიკაში რეალური გარდვეევის მიღწევა იქნება“, პირველი პროექტი კი, რომელიც საპრივატიზაციო თანხებიდან დაფინანსდება, აღმოსავლეთ საქართველოში ახალ ძლიერ თბოელექტროსადგურის მშენებლობას ითვალისწინებს.

ამის გარდა, მთავრობის სხდომამ, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, „კინოქალაქის“ შექმნის შესახებაც იმსჯელა და მხარი დაუჭირა „თი-ბი-სი“ ჯგუფის ხელმძღვანელის მამუკა ხაზარაძისა და სს „ქართული ფილმის“ ერთობლივ პროექტს, რომელიც დავით აღმაშენებელზე შემეცნებით-გასართობი სავაჭრო ცენტრის – „კინოქალაქის“ მშენებლობას ითვალისწინებს.

„თი-ბი-სი“ ჯგუფის პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე იმავდროულად, საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიის პრეზიდენტიც აა და ამ პროექტში სწორედ კომპანიის სახელით მონაწილეობს.

მამუკა ხაზარაძის თქმით, „კინოქალაქის“ მშენებლობა უახლოეს პერიოდში დაიწყება და დაახლოებით 4-5 წელიწადს გაგრძელდება. პროექტში 30-40 მილიონი დოლარის ინვესტიციები ჩაიდება.

სს „ქართული ფილმის“ გენერალურმა დირექტორმა რეზო ჩხეიძემ, ჟურნალისტებთან საუბრისას გაანცხადა, რომ სს „ქართული ფილმის“ პრივატიზაცია აღარ მოხდება, მისი აქტივები „კინოფილმის“ პროექტში ჩაიდება და მიღებული შემოსავლები ახალი ფილმების გადაღებას მოხმარდება.

– ეს იქნება ქართული კინოს შემოსავალი, რომ ეკონომიკური გაჭირვება დავძლიოთ, ფილმები გადავიღოთ და ამით ის ძველი სახელი დავიბრუნოთ, რომლითაც ქართული ფილმი თავს იწონებდა მსოფლიოში, – განაგრძო რეზო ჩხეიძემ, – მთავარი ეს არის. ამის შემდეგ უკვე დღომში არსებული „ქართული ფილმის“ საკითხიც წინ წამოიწევს. ამის თაობაზეც საინტერესო მოსაზრებები გაგვაჩნია.

ეს პროექტი კინემატოგრაფიაში თამობებს შორის გამწყდარ ჯაჭვსაც აღადგენს, წარმოების თითქმის განადგურებისა და მატერიალური პრობლემების გამო ისინი ვერ ქმნიდნენ კინოპროდუქციას. ასე რომ, „კინოქალაქის“ აშენებით ამ პრობლემასაც მოევლება...

რაც შეეხება უშუალოდ „კინოქალაქს“, ეს იქნება ქალაქი ქალაქში, ფეხით მოსიარულეთა ქუჩებით, მოედნებით, კინომუზეუმებითა და კინოსტუდიით. ქალაქში განთავსდება, აგრეთვე, მუსიკალური ცენტრები, საზაფხულო თეატრი, კაფეები და რესტორნები, თანამედროვე სავაჭრო ცენტრი და სხვა გასართობი საშუალებები.

„ეს პროექტი კინოს აყვავებას შეძლებს“, – განაცხადა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მამუკა ხაზარაძემ.

თამარ შაიშმელაშვილი.

◎ ინფორმაცია

ენერგეტიკოსების საახალწლო რეჟიმი

საქართველოს ენერგოსისტემა საახალწლო რეჟიმზე გადავიდა და გუშინ საღამოდან მთელ ქვეყანას ელექტროენერგია 24-საათიანი გრაფიკით მიეწოდება. ამის შესახებ დღეს მთავრობის სხდომაზე ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა.

მისი თქმით, 24-საათიანი ელექტრომომარაგება მთელი ქვეყნის მასშტაბით დღეს სალამოდან დაიწყება და 4-5 იანვრამდე გაგრძელდება.

„უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ელექტროენერგიის 24-საათიანი გრაფიკი არა გაზრდილი იმპორტის ხარჯზე, არამედ საქართველოში არსებული სიმძლავრეების მობილიზებით იგეგმება“, – განაცხადა გილაურმა.

ამასთან, მისი თქმით, 24-საათიანი ელექტრომომარაგება ქვეყანას ასევე 7 იანვარს და ჯელეთი ახალ წელს – 13-14 იანვარს ექნება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, 2005 წელს საქართველოს ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი ენერგეტიკის სფერო იქნება.

ინტერ-პრესი.

◎ პირველი პირი

„ჩვენ უნდა დავიბრუნოთ სტაბილური, ძლიერი რეგიონის იმიჯი“

ნომრის სტუმარია პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში გიგი უგულავა

ფაქტობრივად, 2004-დან უნდა ავთვალოთ საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებით დაწყებული ცივილიზებული გარდატეხის წელი. მოულოდნელობით აღსავსე პროცესების შედეგად ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა ქვეყნის ცხოვრებაში.

ამ რევოლუციური გარდაქმნებისა და რეფორმების ზღვაში მიცურავს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ახალი გუბერნატორი, რომლის შტურვალთანაც დგას ახალგაზრდა, ენერგიული კაპიტანი გიგი უგულავა და გვჯერა, უზიანოდ მიაღწევს მონიშნულ ნაპირს. ჩვენ წინასაახალწლოდ ვესტუმრეთ მას და ინტერვიუ ჩამოვართვით.

– ბატონო გიგი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორად თქვენი დანიშვნის დღიდან სამი თვე სრულდება. ამ დროში რა გაკეთდა, რა შეიცვალა, დღეს როგორია მხარის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა?

– სამი თვე არ არის ის პერიოდი, როდესაც გლობალურ ცვლილებებზე შეიძლება ლაპარაკი. მთავარი, ჩემის აზრით, ის არის, რომ შეიცვალა სახელმწიფოს მიდგომა მმართველობის და, ზოგადად, საზოგადოების მიმართ. სახელმწიფოს თითოეული წარმომადგენელი, იქნება ეს გამგეები სოფლის, რაიონის თუ ქალაქის, ყველა თავს ანგარიშვალდებულად უნდა გრძნობდეს საზოგადოების წინაშე. ეს არის ის მთავარი ნიშანი, რითაც უნდა განსხვავდებოდეს დღევანდელი ხელისუფლება, და განსხვავდება კიდეც, წინამორბედი საგან.

ამ სამი თვის მანძილზე გალამაზდა ზუგდიდი, დასუფთავდა მისი პარკები და ქუჩები. საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოცა-პაგრონობის კუთხით სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული მხარის მასშტაბით, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. 2005 წელი ამ მიმართულებით იქნება ძალიან მნიშვნელოვანი. მე რეალისტი ვარ, მესმის, რა ობიექტური პრობლემების წინაშე ვდგავართ, რომელთა გადაწყვეტა ხელაღებით, ბუნებრივია, ვერ მოხდება, მაგრამ პირველი ნაბიჯები გადადგა იქითკენ, რომ ჩვენს რეგიონს ჩამოშორდეს არასტაბილური რეგიონის იმიჯი. ამას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი შემდგომი ეკონომიკური განვითარებისთვის.

– ადრე თუ იცნობდით ამ კუთხის სოციალურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ბიოგრაფიას.

– ბუნებრივია, მეტ-ნაკლები სიმწვავით ვიცნობდი მხარის პრობლემებს, ჩემი ადრინდელი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, მაგრამ, როცა საკუთარი თვალით ნახავ და აღიქვამ, მრავალ მნიშვნელოვან, თითქოსდა უწინარ პრობლემებსაც წააწყდები. მთავარი არაა მაინცდამაინც აქაური იყო. ადამიანს განსჯის უნარი იმისათვის აქვს, რომ გარკვეული ფაქტებისა და მოვლენების შეჯერებით სწორი დასკვნები გამოიტანოს. როდესაც ჩემზე ამბობენ, აქაური არ არის და ვერ ხედავს მოვლენებსო, ეს რაღაცა კუთხით მართალია. სამაგიეროდ, მაქვს მოქმედების თავისუფლება, რადგან შემოსაზღვრული არ ვარ პირადი ურთიერთობებით, რაც დიდი დამამუხრუჭებელი გარემოებაა. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ შეძენებითი თვალსაზრისით ძიების პროცესში ვიმყოფები და ახალ-ახალს ვიძენ ყოველდღიურად. ამიგომ ნათლად მაქვს წარმოდგენილი, რაა გასაკეთებელი, როგორ უნდა გაკეთდეს და რამდენი დრო დასჭირდება.

– როგორია დღეს ეკონომიკურად საგრძნობლად დასუსტებული მხარის თქვენეული რეცეპტი?

– ისევ ვიმეორებ, მხარის აღორძინებისათვის საჭიროა სტაბილური, ძლიერი რეგიონის იმიჯის დაბრუნება. სხვანაირად, ეკონომიკური წინსვლა შეუძლებელია. უნდა ვებრძოლოთ კრიმინალებს, ძარცვისა და ყაჩაღობის ფაქტებს, რაც ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას. ეს არის უპირველესი საფუძველი. შემდეგ ავტომატურად მოხდება განვითარება, – ინვესტიციის შემოსვლა. ცალკე საკითხია სოფლის მეურნეობა. იქ არის უამრავი აუთვისებელი რესურსი, სადაც მომხდარია სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია. სამუშაოთა პროცესი სასწრაფოდ უნდა დაიწყოს, მეურნემ თავად უნდა გადაწყვიტოს, რა კულტურა მოიყვანოს. ამ შემთხვევაში ახალი ველოსიპედი არაა გამოსაგონებელი. მხოლოდ საჭიროა ფუსტი და მკაცრი მოქმედება.

– თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია ახლო მომავალში ინვესტორების გამოჩენა?

– ინვესტორს სჭირდება სტაბილური გარემო, სადაც მას მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებები ექნება და მეტი არაფერი. ასეთი გარემო მას ჩვენ უნდა შევუქმნათ. არ მინდა მოვლენებს გავუსწრო. ისე, არის პერსპექტივა.

– მეოცე საუკუნის დიდი მხედართმთავრის ლოზუნგს: – „კაცრები წყვეტენ ყველაფერს“, ძალა დღესაც არ დაუკარგავს. როგორია თქვენი საკაცრო პოლიტიკა? როგორც იტყვიან, რანი მიდიან და რანი მოდიან?

– საკაცრო პოლიტიკას რაც შეეხება, აპარატში კონკურსის წესით მივიღე ხალხი. ასევე ანალოგიურად უნდა მოხდეს სახელმწიფო სამსახურშიც. ბუნებრივია, არსებითი შემცირება და განახლება სჭირდება ყველა სახელმწიფო აპარატს, იმიგომ, რომ არის ძალიან გადაგვარებული და ხშირ შემთხვევაში, არაეფექტიანი. რაც შეეხება დანარჩენს, იცით, რომ გამგეებლებს ირჩევენ საკრებულოდან და აქ რადიკალურ ცვლილებებს ჩვენ არ უნდა ველოდოთ. მომავალ არჩევნებზე კი უნდა მოხდეს პოლიტიკური სპექტრის განახლება, გადახალისება და გათანამედროვება, ამ სიტყვის ცივილური მნიშვნელობით.

– როგორც ცნობილია, ცენტრალურ ხელისუფლებაში თითქმის ყოველკვარტალურად ხდება კადრების გადაადგილება. ხომ არ აპირებთ ასეთი პრაქტიკის დანერგვას რეგიონშიც?

– ამის საჭიროებას აქ ვერ ხედავ. ცენტრალურ ხელისუფლებაში ეს ხდება ოპტიმიზაციის მიზნით.

– საოლქო პროკურატურის აქტივობა დღითი დღე მატულობს. ყოფილი თუ ახლანდელი ჩინოვნიკები ციხის ბინადარნი ხდებიან. საინტერესოა, კიდევ რამდენი გაიზიარებს მათ ბედს?

– ეს შეკითხვა, ცოცა არ იყოს, ჩემი კომპეტენციის მიღმაა. ისე, მათ ბედს ყველა გაიზიარებს, ვინც კი გაბედავს და დაარღვევს კანონს, ვინც ბიუჯეტში ხელს აფათურებს. რა თქმა უნდა, ახლა მე კონკრეტულ დეტალებზე ვერ ვისაუბრებ.

– ქალაქ ზუგდიდის ახალი ხელმძღვანელობა ხმამაღლა აცხადებს: ზუგდიდს ძველი სტატუსი დაუბრუნდებაო, რამდენად რეალურია ამ ეტაპზე ამის განხორციელება?

– ეს ყველაფერი დამოკიდებულია ქვეყნის იმმინისტრაციული მოწყობის კანონზე, რომელიც 2005 წელში დამუშავდება. ზუგდიდი არის სამეგრელო-ზემო სვანეთის იმმინისტრაციული ცენტრი, შესაბამისად, მას უნდა ჰქონდეს მაღალი სტატუსი, რაც უნდა აისახებოდეს მის ბიუჯეტზე და ბიუჯეტის განკარგვაზე. ასე რომ, ეს საკითხი მოგვარდება.

– როგორც საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ყოფილ მოადგილეს, მინდა გკითხოთ, რამ განაპირობა მინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გაერთიანება, როგორია ამ მიმართებით თქვენეული ხედვა?

– ეს გაერთიანება პრინციპში უნდა მომხდარიყო საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში. გულწრფელად, რომ ვთქვათ, უშიშროებასა და პოლიციას დაახლოებით 80-90 პროცენტი ერთი და იგივე ფუნქციები ეკისრებოდა. ფაქტობრივად, ერთი საქმით იყვნენ დაკავებული, რაც ადამიანებს ვუსურვებდი წინსვლას, ურთიერთგადაბრალებას და ბევრ მავნე მოვლენას უწყობდა ხელს. რეალურად დღეს მათი გაერთიანების საჭიროება დადგა, რაც მოიგანს ორივე სტრუქტურის ოპტიმიზაციას. საზოგადოებრივი უსაფრთხოების სისტემა იქნება უფრო მობილური, მოქნილი და ბევრად უფრო ეფექტიანი. მთავარი მაინც ისაა, – რომ საქართველომ უარი თქვა ძველ, საბჭოურ სისტემაზე.

– საბოგადოებისთვის ცნობილია, რომ პრეზიდენტის ინიციატივით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით ახალი სამშვიდობო პოლიტიკა მუშავდება. როგორ ფიქრობთ, უახლოეს დროში დაეიბრუნებთ თუ არა აფხაზეთსა და სამაჩაბლოს?

– ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არ არის ერთი და ორი დღის საქმე. ქვეყნის ხელისუფლების მთელი ძალისხმევა იქითკენ არის მიმართული, რომ საქართველო დადგეს ფეხზე, იყოს მიმზიდველი, ძლიერი და მთლიანი. ჩვენს ძალებსა და შესაძლებლობებში დარწმუნებული უნდა ვიწარმოებდეთ მოლაპარაკებებს და ეს აუცილებლად გამოიღებს სასურველ შედეგს.

– 2004 წელი მიილია, რომლის უმეტესი ნაწილი მხარის მოსახლეობამ უშუქობაში გაატარა. ახალი წლიდან მაინც თუ გაუმჯობესდება ელექტრომომარაგება?

– ახალი წლიდან დაიწყება მრიცხველების დამონტაჟება, რაც არსებითად შეცვლის სიტუაციას. მართალია, არის პრობლემები, მაგრამ 2005 წელი ქვეყნის ყველა რეგიონისთვის იქნება გარდატეხის წელი. განსაკუთრებით კი ჩვენი რეგიონისთვის. ბოლოს და ბოლოს, უნდა დაესვას წერტილი ენერგოკრიზისს.

– დაბოლოს, ბატონო გიგი, ქუჯის, გუბაბის, ჭყონდიდელის, ცოტნეს სამშობლოში პირველი კაცის გრიბუნიდან 2005 წელს რას უსურვებთ როგორც მხარის, ისე სრულიად საქართველოს მოსახლეობას?

– ადამიანებს ვუსურვებდი წინსვლას, ბედნიერებას. რაც შეეხება ქვეყანას – გამთლიანებასა და აღმშენებლობას.

ესაუბრა
ოდიკ ძუხილავა.
„სრ“ საკ კორ.

რედაქციისაგან: წერილი დასაბეჭდად იყო გამზადებული, როცა საქართველოს პარლამენტის სამეგრელოს დეპუტატის ნაწილმა, გუშინწინ, სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე სამეგრელო-ზემო სვანეთის პრეზიდენტის რწმუნებულის გიგი უგულავას უპირობო გადადგომა მოითხოვა, თუმც ვერ დაასაბუთა, რატომ უნდა მოხდეს ეს, თუ იმ „მთავარ არგუმენტს“ არ ჩავთვლით, რომ სამეგრელოს გუბერნატორმა... მეგრული არ იცის!

იქნებ, ეს დეპუტატები (ბეჟან გუნავა, გიორგი ცანავა, ვალერი იზორია) უფრო სერიოზულად მოეკიდნონ თავიანთ მოვალეობას და პროვინციალიზმისა და კუთხურობის ახალ ტალღას ნუ აგორებენ.

დროა.
საკმარისია.
სირცხვილია.

◎ ინფორმაცია

პრეზიდენტის ინიციატივას ეწინააღმდეგებიან

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ უკანონოდ მიიჩნევს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების დაჩქარებული წესით შეტანის შესახებ.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ლია მუხაშავრიამ, მანანა კობახიძემ და სოფო ჯაფარიძემ განაცხადეს, პრეზიდენტმა 18 დეკემბერს პარლამენტს დაჩქარებული წესით განსახილველად წარუდგინა კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“. ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ ეს კანონპროექტი მნიშვნელოვნად ლახავს მოსამართლეთა უფლებებს.

როგორც ადვოკატმა სოფო ჯაფარიძემ განმარტა, მოქმედი კონსტიტუციით, პარლამენტს საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს დასამტკიცებლად პრეზიდენტი წარუდგენს, სამ-სამს კი პარლამენტი ირჩევს და უზენაესი სასამართლო ამტკიცებს.

ახალი კანონპროექტით კი, პარლამენტს ცხრავე მოსამართლეს პრეზიდენტი წარუდგენს, რაც, ადვოკატთა თქმით, იმას ნიშნავს, რომ „პრეზიდენტს მართლმსაჯულების სისტემაში საკუთარი უმრავლესობა ესაჭიროება“.

ადვოკატ მანანა კობახიძის განცხადებით, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისთანავე, მოქმედ მოსამართლეებს უფლებამოსილება უწყდებათ. „ვინაიდან მოსამართლის მუკურძოებლობა მისი უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული, მოსამართლის ვადაზე ადრე გათავისუფლებით მართლმსაჯულების სისტემას სერიოზული საფრთხე ემუქრება,“ – მიაჩნია კობახიძეს.

აეროპორტის სასაზღვრო განყოფილების უფროსი დააკავეს

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით, გუშინ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის აეროპორტის განყოფილების უფროსი, კაპიტანი გიორგი შარიქაძე დააკავეს.

დაკავების ოპერაცია საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კონტრტერორისტული დეპარტამენტის და საგამომიებო დეპარტამენტის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად განხორციელდა.

კაპიტან შარიქაძეს ბრალი ედება ასევე სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესის დარღვევაში. საქმეს უშიშროების სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტი იძიებს.

ინტერ-პრესი.

◎ ალზრდა

„ახალი სკოლა“: საუკეთესო ტრადიციულს + საუკეთესო ევროპული

მარინე ჟღენტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა და სკოლაში მივიდა სამუშაოდ. ბევრს გაუკვირდა, პრესტიჟულად არ ჩათვალეს. მას კი ბავშვებთან ყოფნა და მუშაობა სურდა. 15 წლის შემდეგ მარინემ და მისმა მეუღლემ ირაკლი თოფურიამ საერთაშორისო სახლი – ენების შემსწავლელი ცენტრი დააარსეს. ამავე დროს კერძო სკოლის გახსნის იდეაც დაბიადა. ბრიტანეთის საბჭომ ისინი სკოლების სანახავად ამერიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში მიიწვია, სადაც სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემას გაეცნენ. ის დროც დადგა, როდესაც წლების განმავლობაში მომწიფებული ჩანაფიქრის განხორციელება შეიძლებოდა. მათ „ახალი სკოლა“ 1998 წელს დააფუძნეს.

ვესაუბრებით სკოლის დირექტორს მარინე ჟღენტს.

– რა არის ამ სკოლის სპეციფიკა?

– გადმოვიღეთ ყველაფერი საუკეთესო ევროპული სკოლების (ინგლისი, საფრანგეთი, შვეიცარია, ესპანეთი, გერმანია) გამოცდილებიდან. ჩვენ ენების შემსწავლელი ცენტრის ნაწილი ვართ და ასეც ვვქვია, ახალი სკოლა – საერთაშორისო სახლი. ენების სწავლების კუთხით მივენდეთ და აქაც იგივე სახელმძღვანელოებს ვიყენებთ, რაც იმ ქვეყნების სკოლებშია. ყველა სხვა საგანი ქართულად ისწავლება. მაგალითად, მშობლიურ ლიტერატურას ვასწავლით ბლოკებად: პროზა, პოეზია, დრამატურგია, ჟურნალისტიკა, ავტობიოგრაფია, რომანი. ეს თანამედროვე მიდგომაა. დრამატურგიას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აღარ სწავლობენ. თეატრი არ უნდა იცოდეს ბავშვმა? პოეზიაში გაიარეს, ეთქვათ რომანტიზმი, შემდეგ სწავლობენ რომანტიზმს ბაირონთან, პუშკინთან, რათა ჰქონდეთ შედარების საშუალება. ისტორიაში რევოლუციებს ერთად ვასწავლით. ბავშვი იგებს მის კანონზომიერებებს, რევოლუციის მიზეზს, შედეგს და თან აფასებს კრიტიკულად.

ეს არის ქართული სკოლა ქართველი ბავშვებისათვის. ძირითადი კონცეფცია მოკლედ ასე შემიძლია გამოვხატო – ამ სისტემის სკოლის კურსდამთავრებული მოსწავლეები მსოფლიო და ადგილობრივი მნიშვნელობის მოვლენების კომპეტენტური მონაწილენი არიან.

– განათლების სისტემაში რეფორმაზე რა აზრის ხართ?

– რეფორმა აუცილებელია, თუმცა ერთი ხელის მოსმით ძველის დაკარგავა არ შეიძლება. მას რაღაც სიკეთეც მოჰქონდა. დღეს ბავშვები რისკიანი, კომუნიკაბელური, კონკურენტუნარიანი უნდა გავმარდოთ. შემოდის ასეთი საგანი – „საიანსი“, სადაც ქიმიის, ფიზიკის და სხვა საგნებიან ერთად ბავშვებს ასახავენ, ეს ერთ-ერთი ასეთი ბიოლოგიური ინსტიტუტია. ბავშვებს ეუბნებიან, ეს ასეა, ეს ასეა, ეს ასეა, ეს ასეა. ეს ასეა, ეს ასეა, ეს ასეა. ეს ასეა, ეს ასეა, ეს ასეა.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 303, ხუთშაბათი, 30 დეკემბერი, 2004 წელი.

◎ თანამედროვე

ზურაბ წერეთელი: იმ ჯილდოებს შორის, რომლებიც დღემდე მიმიღია, ყველაზე ძვირფასი ჩემი სამშობლოს უმაღლესი აღიარებაა

2004 წელს საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემია მიენიჭა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას „შრომების“ ხუთგომეულს (გამოიცა 1997-2001 წლებში). სამუშაოს ხელმძღვანელი – შემდგენელ-რედაქტორი პროფესორი თამილა ცაგარეიშვილი, ეთნოგრაფიული ალბომის ავტორი და მხატვრული რედაქტორ-შემდგენელი – აკადემიკოსი ზურაბ წერეთელი.

გიორგი ჩიტაიას მეცნიერული მემკვიდრეობის ეს პირველი გამოცემა, სადაც სრულადაა ასახული მისი სამეცნიერო-მეთოდური მონაპოვარი, ეროვნული კულტურის ფასეული შეხედულებანი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართველოლოგიის განვითარების ისტორიაში, ასახავს ეთნოგრაფიული აზრის განვითარებას უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე, იკვლევს ჩვენი ხალხის წარმომავლობას და მის მრავალსაუკუნოვან კულტურას, წარმოაჩენს ცალკეული კუთხეების ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, წარმოშობის უძველეს ფესვებს და როლს ერთიანი ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში. „შრომებში“ წარმოჩენილია არა მარტო საქართველოსა და კავკასიის ხალხთა კულტურის სიძველე და აბორიგენული წარმომავლობა, არამედ ტრადიციული მემკვიდრეობის ფასეულობათა მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის, მისი ადგილი მსოფლიო ღირებულებათა სისტემაში.

დიდია „შრომების“ ხუთგომეულის სამხატვრო რედაქტორ-შემდგენლის, საქართველოს სახალხო მხატვრის, რუსეთის ფედერაციის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის, პიკასოს პრემიის ლაურეატის, საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის პრეზიდენტის ზურაბ წერეთლის როლი და დამსახურება. მან კონკრეტულად ტომეულებისათვის დაამუშავა საკუთარი საველე საექსპედიციო ჩანახატები, ხალხის ყოფისა და კულტურის ამსახველი ნაწარმოებები და საზოგადოების წინაშე პირველად წარსდგა, როგორც მხატვარი-ეთნოგრაფი.

ტექსტობრივი მასალის თემატურმა სიმდიდრემ და მრავალფეროვნებამ განაპირობა ალბომის მოცულობა – 145 ფერადი ტაბულა (შეიცავს 165 მხატვრულ ნაწარმოებს) განაწილებულია ტომეულების 2245 გვერდზე.

ზურაბ წერეთლის მხატვრული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა აქამდე ცალკე თავმოყრილი და გამოცემული არ ყოფილა. იგი შინაარსობრივად მრავალფეროვანია და სრულ წარმოდგენას ქმნის ქართველი ხალხის ეთნიკურ, მატერიალურ, სოციალურ და სულიერ კულტურაზე, რაც მთავარია, ეს ხალხის ყოფისა და კულტურის შემოქმედებითი ასახვაა და არა ეთნოგრაფიული საგნებისა და მოვლენების უბრალო კოპირება. მან არსებითი შემოქმედებითი წვლილი შეიტანა ხუთგომეულის მხატვრულ გაფორმებასა და გამოსაცემად მომზადებაში. არა მარტო შეადგინა II-III-IV-V ტომების მაკეტი და საგიტულო ფურცლები, არამედ თავისი შემოქმედებიდან ტომებს იდეურად შეუფარდა ფორზაცი.

ეთნოგრაფიული თემატიკით ბატონ ზურაბის დაინტერესება შემთხვევითი არ არის. მან თავისი შემოქმედების საწყის ეტაპზე გაიარა გიორგი ჩიტაიას ეროვნული აღმრდის საყოველთაოდ აღიარებული სკოლა და მის მრავალრიცხოვან ექსპედიციებში მონაწილეობისას ეზიარა ჩვენს მრავალსაუკუნოვან კულტურულ მემკვიდრეობას, რამაც განსაზღვრა მისი ცხოვრების სტილი, შესაძლებლობა მისცა სრულქმნილებამდე მიეღწია შემოქმედების ყველა სფეროში და მსოფლიო აღიარება მოეპოვებინა. მრავალ ქვეყანაში გაბნეულ მის მონუმენტურ ძეგლებზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული ხალხური ორნამენტის მრავალფეროვან ნიმუშებს, რაც შემოქმედის ეროვნული სულისკვეთებისა და მშობელი ხალხის კულტურის თაყვანისცემის გამოხატულებაა.

„შრომების“ ხუთგომეულზე დართული ზურაბ წერეთლის ეთნოგრაფიული ალბომი, რომელიც დაფუძნებულია პირად საველე დღიურებზე და ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მიღებულ შთაბეჭდილებებზე, დიდი შენაძენია არა მარტო ქართული ეთნოლოგიისთვის, არამედ ხელშესახები წვლილი შეაქვს ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის აღიარებისა და პოპულარიზაციის საქმეში.

სწორედ გიორგი ჩიტაიას „შრომების“ ხუთგომეულის მომზადება-გამოცემაში შეტანილმა წვლილმა განსაზღვრა სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილ ავტორთა კოლექტივში აკადემიკოს ზურაბ წერეთლის ჩართვა.

ამ დღეებში სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს დიპლომები გადაეცათ. ზურაბ წერეთელმა, რომელიც საქართველოში არ იმყოფება, წერილი გამოუგზავნა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს, რომელშიც ნათქვამია:

„იმ ჯილდოებს შორის, რომელიც დღემდე მომიღია, ყველაზე ძვირფასი ჩემი სამშობლოს უმაღლესი აღიარებაა, რაც სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. ეს ჯილდო არა მარტო შემოქმედებითი საქმიანობის ერთ ეტაპს აფასებს, არამედ იგი საზოგადოებრივი პოზიციის გამოხატულებაა, რაც

ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის.

ჩემს შემოქმედებაში ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ასახვისადმი სწრაფვა, მთლიანად იმ ქართველოლოგიური ეროვნული სკოლის დამსახურებაა, რომელსაც აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია წინამძღოლობდა და ბედმა მასთან დამაკავშირა ჩემი ახალგაზრდობის წლებში.

განუსაზღვრელია ჩემი მადლიერება გიორგი ჩიტაიას და ვერა ბარდაველიძის მიმართ, რომელთაც მაზიარეს იმ ისტორიულ ტრადიციას, რომლის სათავეც ხალხურ შემოქმედებაშია, მაზიარეს ხელოვნების ურთიერთმიმართებას ეთნოგრაფიასთან, ზოგადკაცობრიულის შეგრძნებას ეროვნულის ბაზაზე.

გიორგი ჩიტაიას ხუთგომეულიც სწორედ ჩიტაიასეული ამ იდეის განხორციელებაა: ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ერთობლივ, მეცნიერულ და მხატვრულ შემოქმედებაში წარმოდგენა.

ამ საქმიანობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფესორ თამილა ცაგარეიშვილს, რომელმაც ორი ათეული წლის შრომა შეალია ხუთგომეულს გამოცემას.

ჩვენი მიზანი იყო ჩვენი დიდი მასწავლებლის გიორგი ჩიტაიას დღემდე ნაკლებადცნობილი მემკვიდრეობის დღის სინათლეზეა გამოტანა და იმ ფუძემდებლური ღვაწლის გამოვლენა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოში ეთნოგრაფიის დაფუძნებასა და მეცნიერულ განვითარებაში.

დღეს, როდესაც არის მოთხოვნილება, რომ საქართველო ინდივიდუალური სახით წარმოჩნდეს მსოფლიოს საზოგადოების წინაშე, ის უნდა წარმოჩნდეს, თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურით, რასაც თანადროულად პასუხობს გიორგი ჩიტაიას მთელი შემოქმედება. იგი ემსახურება ქართველი ხალხის ერთიანობის იდეას, ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ისტორიული ღირებულების გამოვლენას, მისი ადგილის ჩვენებას კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის არეალში და ინტეგრაციის ევროპულ ღირებულებებთან.

მადლობას მოვახსენებ საქართველოს პრეზიდენტს, მის აღმატებულებას ბატონ მიხეილ სააკაშვილს.

მადლობას მოვახსენებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექციას, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის მთელ შემადგენლობას“.

ამ წერილიდანაც კარგად ჩანს ზურაბ წერეთელი, როგორც ეროვნული შემოქმედი და მოღვაწე, როგორც მოქალაქე და პიროვნება. კვლავაც წარმატებები, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები ვუსურვოთ მას დამდეგ 2005 წელს.

სანდრო ალექსიძე.

◎ ინფორმაცია

განახლებული „ძველი თბილისი“

კომპანია „ჯი-ვი-ესი“ ქართულ და უცხოურ ბაზარზე „ძველი თბილისის“ ღვინოების ასორტიმენტს გამრავალფეროვნებს.

„ძველი თბილისის“ ღვინოების ასორტიმენტის გამრავალფეროვნება მათი ვემოვნური თვისებების გაუმჯობესებას და შეფუთვის დიზაინის განახლებას მოიცავს. გუშინ საგამოფენო ცენტრ „ქართასლაში“ სწორედ განახლებული „ძველი თბილისის“ პრეზენტაცია მოეწყო.

საჩუქარი აჭარელ ბავშვებს

თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გუშინ დედაქალაქის მერიაში აჭარიდან ჩამოსულ 100-მდე ბავშვს საახალწლო საჩუქრები გადასცა.

პაკარებს, რომლებიც ძირითადად სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არიან, საჩუქრად ხელთათმანები და სხვადასხვა ტკბილეულობა გადასცეს, რომელიც მათთვის კომპანია „კოკა-კოლამ“ შეიძინა.

როგორც „ინტერ-პრესს“ თბილისის მერიაში განუცხადეს, „ნაციონალური მოძრაობის“ ისანი-სამგორის რაიონული განყოფილების ინიციატივით, ცოტა ხნის წინ თბილისელმა ბავშვებმა ბათუმში დაისვენეს. ბათუმელი ბავშვები კი ახალ წელს თბილისში შეხვდებიან. ისინი თბილისში რამდენიმე საახალწლო ღონისძიებას დაესწრებიან, დაათვალიერებენ ზოოპარკს და ბოგანიკურ ბაღს, ეწვევიან ცირკს. ბავშვებს მიღებას გაუმართავენ როგორც მერიაში, ასევე საკრებულოსა და პარლამენტში.

ზეიმი გლდანში, ინვალიდებისთვის

ხვალ კინოთეატრ „ახმეტელში“ მშობელთა მზრუნველობას მოკლებული და ინვალიდი ბავშვებისთვის საახალწლო ზეიმი გაიმართება. ამის შესახებ „ინტერ-პრესს“ კინოთეატრ „რუსთაველის“ პიარ-მენეჯერმა მაია სიხარულიძემ განუცხადა.

„საახალწლო ზეიმზე ბავშვებს დაურიგდებათ საჩუქრები, რის შემდეგაც კინოთეატრ „ახმეტელში“ შედგება ანიმაციური ფილმის „ყველაზე მაგრები მსოფლიოში“ ჩვენება“, – დაბინშნა სიხარულიძემ.

ანიმაციური ფილმი „ყველაზე მაგრები მსოფლიოში“ 24 დეკემბრიდან ერთდროულად გადის კინოთეატრებში „რუსთაველი“ და „ამირანი“.

ინტერ-პრესი.

◎ „არის მკითხველი მშვენიერ წიგნის“

თაეისუფლების მკაცრი საკანი

სიტყვების ნამდვილი აზრის გასახსენებლად უკან დაბრუნების გზებზეც საუბრობენ, მაგრამ საით მიდის გზა, რომელიც ტაძრის ანალოგიისგან განსხვავებით ახლო წარსულში, უახლოეს წარსულში – მოაზროვნე ადამიანისთვის გაუსაძლისი, მკაცრი ცენზურის პირობებში, როცა თვითდამკვიდრების ურთულეს გარემოში მომწყვდეულთათვის „ნამდვილისთვის“ ბრძოლა იყო თავისუფლების ნამდვილი იდეალი. რით განსხვავდება თავისუფლების მაშინდელი და დღევანდელი ხატი? ვფიქრობთ, „ნამდვილობის“ შეგრძნებით. იმ დროში და სივრცეში მოქცეული ინდივიდები ჰეროიკული პოზის გარეშეც ცხოვრობდნენ.



დღეს თითქოს ინდივიდთა გაუფასურების საჭიროება დადგა „უშედეგო მონიტორინგებით, ეგზიტპოლებით, სოციოლოგიური გამოკვლევებით თუ რეიტინგებით, ანუ მასების თავისუფალი აზრის გამოხატვის საბაბით...

იქნებ წარსული არც არსებობს, რამეთუ ვერ ვხედავთ და ყველანი, ძველებიც და ახლებიც, ერთ დროში ვართ მოქცეულნი და შორეულ გზებზე მხოლოდ ჩვენი ზურგები მოჩანს...

„მიეცი ძალა ამ საწყალ ზურგებს“... (ესმა ონიანი)

ამ ერთ სტრიქონში მოქცეულმა ძალისხმევამ, რაც პირადად ჩემდამი გამოხატულ თანაგრძნობადაც განვიცადე, ავტორის სამყაროსთან მიმიყვანა, სადაც ძველი და კეთილი თემა ამოვიკითხე, რომ ამ გზაზე არავინ რჩება მარტო, ანუ ისინი, ანუ ჩვენ ვისაც

„უცოდინრობით, დაუცველობით გულგაუხსნელებს ნაღველი ფარავთ...“

მოგვიანებით, როცა ამ სტრიქონების ავტორის გზის დანახვასაც ვცდილობდი, აღმოჩნდა, რომ ადვილად მისაგნები არ გახლდათ და მსგავსი თანაგრძნობებით ილუზიებს არ ქმნიდა. მიგვანიშნა, რომ არ არსებობს ადამიანთა ინტერესების ჰარმონიული ერთობა, როცა „მარადიული კავშირის ნიღაბი“ ახსენა... და თუ რა იყო სინამდვილეში მარადიული ნიშნის შემცველი, საკუთარი შემოქმედებით ახსნა:

„უმეტესობა ასაკის მომატებასთან ერთად შორდება მარადიულ ჭეშმარიტებას (მარადიულის ხსოვნას), იძირება შემოგროვილ ჩენჩოში. მათი სული ძველდება იმ მნიშვნელობით, რომ უიმედოდ შორდება მარადიულ ძველს. ყველაზე ადამიანური სულის ადამიანები ყველა ასაკში ინარჩუნებენ პირველადი, ბავშვური აღქმის სიმძაფრეს. ადამიანური დრო მათთვის დაბერების, დაძველების მნიშვნელობას არ იძენს. მათში არასდროს ქრება მარადისობიდან გამოყოლილი თვისებები, „შთაბეჭდილებები“. არაფრით არ ნელდება მარადიულობის მშობლიური გრძნობა. ადამიანური დრო სასაცილოდ უძლურია დააშოროს ისინი ძირითად შთაბეჭდილება-საწყისს. ისინი უწყვეტად აგარებენ მშობლის სიყვარულს – და უბრუნდებიან მას. ჩემი შემოქმედებით სწორედ ამას მინდა შევახსენებდე ადამიანებს“...

* * *

ესმა ონიანი – ფერმწერი, პოეტი, ესეისტი... ეს მრავალფეროვნება ბუნებრივად აღძრავს კითხვას გზის მთლიანობის შესახებ...

ოდესღაც მხატვრებმა აღიარეს, რომ სახვით ხელოვნებაზე საუბრისას უამრავ შეცდომას უშვებდა მწერალი ზოლა...

თავისთავად ლიტერატურისა და სახვითი ხელოვნების სინთეზი ალბათ ხელოვნურად გამოიყურება, ვინაიდან ორივე დარგი საკუთარი ენით, გამოსახვის მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ფორმებით, სრული ავტონომიურობისკენ მიისწრაფვის. ელემენტთა ხელოვნურად შეერთების, თუნდაც დეკონსტრუირების პროცესიც ფაქტობრივად დაშლაა და არა მთლიანობის ნიშანი. თუმცა დაყოფა თეორიულად ანალიზის ტოლფასი გახლავთ და ამ გზაზე ისევ ინდივიდთა თავისებურებათა მიჯნაზე ვჩერდებით.

„ცხადია, რომელ დარგშიც იღვწი, ამ დარგის საშემსრულებლო არგანგიზმით უნდა განახორციელო ყველაფერი, ხოლო საშუალებათა გამოყენების ხარისხოვნებაში ზომიერება – ეს ბეწვის ხიდია... ყველა დარგს თავისი ენა გააჩნია. არ არსებობს შინაარსის ენა“... (ე. ონიანი).

„ნაგურმორგების დამჭკნარი
ვარდების სუნია ყველგან,
სითბო შრიალებს, ერთმანეთით
ვივსებით ისევ,
აქ უსასრულო სიცარიელის
ცვივა ფოთლები...“

მან, ესმა ონიანმა, ორი სრულიად დამოუკიდებელი, სახვითი და ლიტერატურული სამყარო შექმნა და რა სამწუხაროა, რომ მას „გამაოგნებლად ევენიალური“ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ უწოდეს... ამქვეყნიური არსებობის მკაცრად შეზღუდულ დროში თითქოს ორი ცხოვრების გავლას ცდილობდა – მხატვრის და პოეტის... ის არ გახლდათ მხოლოდ სტიქიურად მოვლენილი ნიჭიერება. უპირველესად საკუთარი თავის ანალიზი შესძლო, საკუთარი მსოფლხატი შექმნა და არსებულ დროებაზე მწუხარე სენტიმენტების ნაცვლად შემოქმედება თეორიული საფუძვლებით გაამყარა.

ცნობილია, რომ შემოქმედთათვის არც ერთი დრო და ეპოქა არ არის იდეალური და ყველგან და ყოველთვის – საკუთარი სახის დაკარგვის საფრთხეა ჩასაფრებული. უნდა მოახერხო და განვლო ის გზა, მისი სიტყვებით, „ნამდვილობის ხეივანი“, „მიზანთან მიმყვანი ბედისწერული აუცილებლობა“, რადგან სწორედ „ნამდვილი“ და არა სინამდვილეა შემოქმედის უკანასკნელი სიტყვა.

მისი აზრით, ჭეშმარიტი ტალანტი ბუნებრივად სცილდება სკოლათა კანონიზაციას: **„უტალანტოს არც სკოლა უშველის და არც თავისუფლება... მხოლოდ თავისი მოუწესრიგებელი, ქაოტური, ვითომ თავისუფლებისთვის გამოიყენებს, მაგრამ ჭეშმარიტი ტალანტი თავისთავად გულისხმობს ნებისყოფას, გემოვნებას და დანშნულებრივ მიზანაუდენლობას. იგი თავისთავად ადგენს მკაცრ კანონებს, რომელიც (ნებსით თუ უნებლიეთ) მარადიული წესრიგის, მარადიული თავისუფლების გამომხატველნი არიან“...**

სურათებზე: ესმა ონიანის ავტოპორტრეტი; „ია და გურამ რჩეულიშვილები“.

იხ. მე-6 გვ.

◎ წინასაახალწლო ბაზარი

ოლონდ მშვიდობა იყოს ქვეყნად

ბოლო დღეებს ითვლის წელი 2004. არადა, ამ წელს საყვედური ნამდვილად არ ეთქმის: „ვარდების რევოლუციამ“ გამოძახილი არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მთელ მსოფლიოში პპოვა.

მოდის ახალი წესი, ახალი იმედებისა და ოცნებების ახდენის წელი, რას მოუტანს იგი ჯერ ჩვენს ქვეყანას, მერე კი თითოეულ ჩვენგანს?

ტრადიციულად ახალ წელს ყოველ ოჯახში საღღესასწაულო სუფრა იშლება, მაგრამ მისი სიმწარე, ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველწლიურად თვალშისაცემი ხდება. ამაში დამნაშავე, არა მგონია, ჩვენი გამრჯე ბლეხი, ანდა ყაირათიანობით განთქმული დიასახლისი იყოს. დღემდე უცნობია საბაზრო ეკონომიკაზე მორგებულმა დრომ ჩვენს ყოფაში ბევრი რამ შეცვალა.

მიუხედავად ყველაფრისა, ამ დღეებში ჩვენს ბაზრებსა თუ ბაზრობებზე ხალხის ნაკლებობა არ შეიმჩნევა. უმალ მიხვდებით, ვინ სავსე ჯიბით მოდის, ვინ – გამოფუხეკილით. კაცმა რომ თქვას, გამყიდველსაც არ ულხინს, მასაც ჩვენსავით უჭირს. ისე კი, ბლეხს, სანთლით რომ ეძებოთ, ბაზარში ვერსად დალანდავთ. არადა, შეუშვეით, ბაგონებო, ბლეხი ბაზარში, მასთან ვაჭრობა და გარიგება ჩვენთვის უფრო ადვილია! საქონლის ფასიც ზუსტად იცის. მაგრამ მისი ადგილი ბაზარში მუსიკოსმა, პედაგოგმა, ინჟინერმა და ექიმმაც კი დაიკავა.

ინფორმაცია თემაში

თბილისის მთავარი სანიტარიული ექიმი კახა ნაჭყებია მოსახლეობას აფრთხილებს

შობა-ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით ბაზარზე გაიყიდება ფართო ასორტიმენტის საკვები პროდუქტები, სოფლის მეურნეობის ჭირნახული. დედაქალაქის სავაჭრო ობიექტებში, ბაზრებსა და ბაზრობებზე და გარე ვაჭრობისთვის გამოყოფილ დროებით ორგანიზებულ ადგილებში შემოიტანენ დიდი რაოდენობით სურსათ-სანოვაგეს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილის ხარისხი, დამზადებისა და რეალიზაციის პირობები, ხშირ შემთხვევაში ეჭვქვეშ დააყენებს პროდუქტების როგორც კვებით ღირებულებას, ასევე მათი ვარგისიანობის შესაძლებლობას.

აქედან გამომდინარე, მომხმარებელი უნებლიეთ შეიძლება გახდეს კვებითი ტოქსიკოინფექციების, ტოქსიკოზების (ბოტულიზმი, სტაფილოკოკური მოშხამვები, სალმონელოზი, ნაწლავური ინვაზიები და სხვა) პოტენციური მსხვერპლი. განსაკუთრებულ საშიშროებას ამ შემთხვევაში წარმოადგენს კუსტარულ, საოჯახო პირობებში დამზადებული შებოლილი თევზი, ლორი, შაშხი, შებოლილი ფრინველის ხორცი და დაკონსერვებული ბოსტნეული.

მოსახლეობის ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს დაცვისა და კეთილსაიმედო საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის მიზნით, სადღესასწაულო ვაჭრობის პერიოდში, 25 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, თბილისის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია იმუშავებს საგანგებო რეჟიმით, რისთვისაც შექმნილია ექიმ-სპეციალისტთა ბრიგადები. ისინი ყოველდღიურად, ვეტერინარული სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად განახორციელებენ კონტროლს ბაზრებში, ბაზრობებსა და გარე ვაჭრობისთვის გამოყოფილ დროებით დისლოკაციის ადგილებში კვების პროდუქტებით ვაჭრობის მდგომარეობაზე.

სანიტარიული ინსპექცია თხოვნით მიმართავს მოსახლეობას, განსაკუთრებული ყურადღებით და სიფრთხილით მოეკიდონ პროდუქტების შეძენას, რათა არ შეისყიდონ პროდუქტი, ყველა საეჭვო სიტუაციაში მოითხოვონ პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი შესაბამისობის სერტიფიკატი, ხორცის და ხორცის პროდუქტებზე, რძესა და რძის პროდუქტებზე, ფრინველის ხორცზე ჩატარებული ვეტექსპერტიზის ცნობები.

განსაკუთრებულ შემთხვევებთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდით თბილისის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ცხელ ხაზზე 37-78-70.

იხ. მე-8 გვ.

◎ კონტაქტები

სამოქმავლოდ სიკეთის მოქმტანი

ქართველი მედიკოსები ათენში

ახლახან საბერძნეთის დედაქალაქ ათენში გაიმართა პერინატოლოგთა XIX საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც მსოფლიოში ცნობილმა 900-ზე მეტმა სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა. კონგრესზე წაკითხულმა მოხსენებებმა, საკუთარი გამოცდილების გაზიარებამ და უახლესი ტექნიკის დემონსტრირებამ წარმოაჩინა მაღალი მეცნიერული დონე და მიღწევები დედათა და ბავშვთა მოვლისა და დაცვის საორგანიზაციო საქმეში. კონგრესის სხდომები და გამოფენები სასტუმრო „ჰილტონში“ გაიმართა. ფორუმის მთავარი მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნებში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების დანერგვისა და განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

კონგრესზე საქართველოს დელეგაციაში იყვნენ დევი გაბიძე – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე მედიცინის დარგში; მამუკა მაჭავარიანი – ფონდის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი; ბელა ჯიაძე – ამავე ფონდის გენერალური დირექტორის თანაშემწე, პრესცენტრის ხელმძღვანელი; პროფესორი ნინო მერაბიშვილი – თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის გინეკოლოგიის კათედრის გამგე, კლინიკის ხელმძღვანელი; ალექსანდრე პაპიტაშვილი – ექოსკოპიის ცნობილი სპეციალისტი; კონსტანტინე ბოჭორიშვილი – ზესტაფონის რაიონის მთავარი გინეკოლოგი, ზესტაფონის სამშობიარო სახლის სამეანო განყოფილების გამგე.

საქართველოს დელეგაციის კონგრესში მონაწილეობას და მთელ საორგანიზაციო საქმიანობას ჩვეული მონდომებით უძღვებოდა ათენის ქართული ინსტიტუტის დირექტორი ავთანდილ მიქაბერიძე, რომელიც რამდენიმე წელია ძალ-ღონეს არ იშურებს საბერძნეთში საქართველოს სამეცნიერო და კულტურული პოტენციალის ღირსეულად წარმოსაჩენად.

კონგრესის ბოლოს გაიმართა საქართველოს დელეგაციის შეხვედრა ათენის ქართულ საზოგადოებასთან. გამომსვლელებმა ისაუბრეს საქართველოში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პრობლემებზე. ერთერთი ყველაზე მწვავე საკითხი, რომელიც მთელი პირდაპირობით ითქვა, იყო საბერძნეთში დროებით მცხოვრეს საქართველოს მოქალაქეთა წუხილი – მათ მიერ წლების განმავლობაში გამომუშავებული საპენსიო და სოციალური უზრუნველყოფის პრობლემა. საქმე ის გახლავთ, რომ საბერძნეთში იმიგრირებული საქართველოს მოქალაქეები, რომელთა შორის ბევრი უკვე ათ წელზე მეტია, აუცილებელ სავალდებულო გადასახადებს უხდის საბერძნეთის შესაბამის უწყებებს. თუ არ დაიწყო ორმხრივი მოლაპარაკებები აქაურ მთავრობასთან, მომავალში მათ გაუძნელდებათ კუთვნილი საპენსიო თანხების მიღება.

ათენში დროებით მცხოვრებ ქართველ მანდილოსნებს შესაძლებლობა მიეცათ, უფასო სამედიცინო კონსულტაცია მიეღოთ. ეს იყო ჩვენი წამყვანი სპეციალისტების მეტად სასარგებლო და ჰუმანური აქცია, რის გამოც ისინი კმაყოფილებას და მადლიერებას გამოხატავდნენ.

საქართველოს დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა წვეულება ათენის ქართულ საზოგადოებასთან. გამომსვლელებმა ისაუბრეს საქართველოში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პრობლემებზე. ერთერთი ყველაზე მწვავე საკითხი, რომელიც მთელი პირდაპირობით ითქვა, იყო საბერძნეთში დროებით მცხოვრეს საქართველოს მოქალაქეთა წუხილი – მათ მიერ წლების განმავლობაში გამომუშავებული საპენსიო და სოციალური უზრუნველ-

სურათზე: ქართველი მედიკოსები – კონგრესის მონაწილენი.

◎ სოლიდარობა

ჩვენი „ქუჩის ბიჭები“ კიევის ქუჩებში

უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შედეგებს დიდი ინტერესით ველოდით. მეგობარ სახელმწიფოში დემოკრატიის გამარჯვების სურვილი იმდენად მძვინვარებდა, რომ გაფიცულთა სოლიდარობისათვის კიევში გამოვიდა ქართველი ახალგაზრდობა, თავისი წონიანი სიტყვა თქვა ინტელიგენციამ... იმ ხელოვანთა შორის, რომლებმაც გაფიცული უკრაინელებისათვის კიევის ცენტრალურ მოედანზე კონცერტები გამართა, იყო ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“. მას შემდეგ სულ მინდოდა მათთან შეხვედრა, რათა მომესმინა მათი უკრაინული შთაბეჭდილებები...

და აი, ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ ორ წარმომადგენელს – უამრავი ფანით გარშემორტყმულ პაპატა და ზურაბ ხაჩიძეებს სრულიად მოულოდნელად თსუ მესხეთის ფილიალში შევხვდი.

– იქვე არცთუ ისე დიდი ხნის წინ დაბრუნდით უკრაინიდან, სადაც მონაწილეობა მიიღეთ კიევში ქართველ ხელოვანთა მიერ გამართულ კონცერტში...

ზურა: – კიევის ქუჩებში მოგეხსენებათ, სამართლიანი არჩევნების მხარდასაჭერად უამრავი ადამიანი იყო გამოსული. ქართველი ხალხის სახელით, რამდენიმე მომღერალმა გადაეწყვიტეთ, ჩავსულიყავით კიევში, რათა თავისუფლების პრინციპებისათვის ბრძოლაში ჩვენც მათ გვერდით ვყოფილიყავით. ძალიან გთხოვთ, სწორად გაგვიგოთ, ჩვენს ჩასვლას არ ჰქონია რაიმე პოლიტიკური სარჩული. ეს იყო მხოლოდ მეგობრული ვიზიტი.

– რა გაკავშირებთ მესხეთის უნივერსიტეტთან?

პაატა: – „ჩვენ ვართ ამ ფილიალის სტუდენტები. ბუნებრივია, შეგვეძლო დედაქალაქის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში ჩაგვებარებინა, მაგრამ აქ ვამჯობინეთ.

ზურა: – „ჩვენ იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მეორე კურსის სტუდენტები ვართ. მანამდე კი თბილისის ერთ-ერთი უმაღლესი კომერციული სასწავლებელი დავამთავრეთ სამართალმცოდნეობის სპეციალობით. ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში შევსულიყავით.

– უნივერსიტეტის არჩევანი ხომ არ განაპირობა იმ ფაქტმა, რომ თქვენ მესხეთიდან, ბორჯომიდან ხართ?

ზურა: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ცალკეული კუთხეების მიხედვით არ ვყოფთ ჩვენს სამშობლოს, ალბათ ამან, მაინც, დიდი როლი ითამაშა, რადგანაც ჩვენ აქ დავიბადეთ, აქ ავიდგით ფეხი, აქ ვსწავლობდით, თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს ბორჯომში ვატარებდით...

– ახლა თქვენი ჯგუფის შექმნის ისტორიაც გავიხსენოთ... რა იყო „ქუჩის ბიჭების“ შექმნის ძირითადი მიზანი?

ზურა: – ჯგუფის შექმნის მიზანი იყო მხოლოდ და მხოლოდ, სიმღერის დიდი სიყვარული. გვინდოდა გვეცხოვრა ლამაზად, პარმონიულად... ჩვენი შემოქმედებით გვინდოდა ხალხისათვის ტკივილი, მწუხარება დაგვევიწყებინა, სიხარული და ბედნიერება მოგვეტანა. რამდენად შევძელით ეს, ამას ჩვენი მსმენელი და მაყურებელი განსჯის.

– მომღერლები ხართ, მაგრამ რამ გადაგაწყვეტინათ, აგერჩიათ იურიდიული ფაკულტეტი?

პაატა: – ჩვენ გვინდა ვიყოთ არა მარტო კარგი მომღერლები, არამედ პროფესიონალი იურისტებიც.

ზურა: ჩემს თაყვანისმცემელთა გასაგონად იუმორით მინდა ვთქვა, რომ არ მინდა ვიყო „უდიპლომო სასიძო“.

– რადგან „დიპლომიან სასიძოებზე“ ჩამოვარდა საუბარი, იქნებ ორიოდე სიტყვით თქვენს პირად ცხოვრებაზეც გვიამბოთ. ბუნებრივია, გოგონებს აინტერესებთ სიყვარულით ხართ თუ არა თავბრუდახვეული?

პაატა: – იმდენად ვართ დაკავებული სიმღერებით, კონცერტებით, სტუდიური ჩანაწერებით, რომ პირადი ცხოვრების, ოჯახის შექმნისათვის დრო ნაკლებად ვერჩება. ისე კი, როგორც იგივეთ, სიყვარულმა უდროობა არ იცისო და თავისთავად მოვა.

– ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენი ერთ-ერთი პირველი მსმენელი და შემფასებელი ახალციხის მოსახლეობა იყო...

პაატა: – საერთოდ, ჩვენი პირველი კონცერტი, რომლითაც სცენის სიყვარულს ვეზიარეთ, მაყურებლის მხარდაჭერის ფასი გავიგეთ, მშობლიური ბორჯომი იყო. ამის შემდეგ კონცერტები გავმართეთ ახალციხეში. ახალციხე მოგეხსენებათ უფრო დიდი ქალაქია, ხალხიც უფრო ბევრია და მაშინ, მათ მხარდაჭერას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ახალციხემ მოგვცა სტიმული ჩვენი შემდგომი შემოქმედებითი საქმიანობისა...

ზურა: – ახლა ვესაუბრეთ ახალგაზრდებს და გავიგეთ, რომ ჩვენს პირველ კონცერტზე, ჩვენი სიმღერების დროს გაიცნო ბევრმა ერთმანეთი. ეს გაცნობა შემდეგ სიყვარულში გადაიზარდა, შეიქმნა ოჯახები. და, რა შეიძლება იყოს ამაზე კარგი?!

ვერიკო მოდებაძე.

იუშჩენკო თავის მომხრეებს მთავრობის ბლოკირებისთვის მოუწოდებს



უკრაინის ოპოზიციის ლიდერმა ვიქტორ იუშჩენკომ თავის მომხრეებს მოუწოდა დაბლოკონ მთავრობის შენობა, რათა არ დაუშვან მთავრობის კაბინეტის სხდომის გამართვა, პრემიერ-მინისტრ ვიქტორ იანუკოვიჩის ხელმძღვანელობით.

„უკანონო მთავრობის სხდომის გამართვაზე ლაპარაკიც კი შედმეტია“, – განაცხადა იუშჩენკომ და დასძინა, რომ უკვე არსებობს პარლამენტის გადაწყვეტილება მთავრობის გადადგომის შესახებ და უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ უნდა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

ამავე დროს, იუშჩენკომ მეორე განცხადება გააკეთა უკრაინისა და რუსეთის ურთიერთობის შესახებ, რომელსაც, მისი თქმით, „წინათ განსაზღვრავდნენ უკრაინაში მოქმედი კლანები“.

უკრაინაში წინასაარჩევნო კამპანიის დროს ოფიციალური მოსკოვი ამკარად უჭერდა მხარს ვიქტორ იანუკოვიჩის კანდიდატურას. მაგალითად, არჩევნების მეორე ტურის დასრულების შემდეგ (მისი შედეგები მოგვიანებით ბათილად ცნეს), რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ორჯერ მიულოცა იანუკოვიჩს გამარჯვება.

„მე ძალზე არ მომწონდა, როცა რუსეთი ეწეოდა აგიტაციას ერთი კონკრეტული კანდიდატის მხარდასაჭერად, – განაცხადა იუშჩენკომ გაზეთ „იზვესტიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. – ამან სერიოზულად შელახა მილიონობით უკრაინელის თავმოყვარეობა. ახლა არაერთი თვე დასჭირდება იმას, რომ ამ ადამიანებმა დაივიწყონ რუსეთისგან მიყენებული წყენა“.

ახლა, როცა გამოაცხადეს ხელახალი კენჭისყრის ოფიციალური შედეგები, გამარჯვებულად დაასახელეს ვიქტორ იუშჩენკო, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 8 პროცენტით მეტი მოაგროვა თავის მეტოქესთან – ვიქტორ იანუკოვიჩთან შედარებით. თუმცა, იანუკოვიჩი უარს ამბობს, თავი დამარცხებულად ცნოს და ამტკიცებს, რომ ხმის მიცემის პროცესის დროს დაფიქსირდა კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებების არაერთი დარღვევა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ იანუკოვიჩის შტაბმა გაასაჩივრა უკრაინის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 225-ვე საარჩევნო ოლქში ხელახალი კენჭისყრის შედეგები. გარდა ამისა, უკრაინის უზენაეს სასამართლოში იანუკოვიჩის მომხრეებმა შეიტანეს 4 საჩივარი კენჭისყრის მიმდინარეობისას მომხდარი დარღვევების გამო.

უკრაინაში გამართული „ხელახალი“ მეორე ტურის შესახებ უცხოელ მეთვალყურეთა აზრი ერთმანეთისგან განსხვავდება. დასავლეთი აღნიშნავს, რომ არჩევნები გაცილებით უფრო სამართლიანი იყო, ვიდრე ნოემბერში. თუმცა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და რუსეთის წარმომადგენლები არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას.

უკრაინაში გამართულ არჩევნებს ძალზე დადებითად გამოეხმაურნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი, ნატოს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სჰეფერი და სხვები.

სრულიად საწინააღმდეგო აზრის არის ამის თაობაზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომლის წარმომადგენელმა ალექსანდრე იაკოვენკომ განაცხადა, რომ ევთოს მეთვალყურეებმა არაობიექტური დასკვნები გამოიტანეს არჩევნებთან დაკავშირებით.

ყოველივე ამის მიუხედავად, „იზვესტიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ვიქტორ იუშჩენკომ დაადასტურა, რომ პრეზიდენტის პოსტზე დანიშვნის შემთხვევაში, პირველ ოფიციალურ ვიზიტს იგი განახორციელებს რუსეთის ფედერაციაში, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა კი აღნიშნა, რომ იუშჩენკოს გამარჯვება არანაირ არსებით გავლენას არ მოახდენს თავდაცვისა და უშიშროების სფეროში ორი ქვეყნის თანამშრომლობაზე.

გაღდადში კვლავ განხორციელდა თავდასხმა პოლიციაზე

ძლიერმა აფეთქებამ მთლიანად დაანგრია შენობა ერაყის დედაქალაქის დასავლეთ ნაწილში და იმსხვერპლა სულ ცოტა 28 კაცის სიცოცხლე, რომელთაგან 7 პოლიციელია. აფეთქება მოხდა მაშინ, როცა პოლიციელთა ჯგუფი ამ შენობაში ეძებდა ამბოხებულებს.

სავარაუდოდ, პოლიციელებს ჰქონდათ მონაცემები იმის თაობაზე, რომ უცხოელი მოთარეშეები შენობას იყენებდნენ ბაღდადში ამერიკელთა და ერაყელთა ობიექტებზე თავდასხმისთვის. სახლი დანაღმული აღმოჩნდა. როცა პოლიციელებმა გაიღეს კარი, გაისმა სანინელი ძალის აფეთქება, რომელმაც რამდენიმე გვერდზე მდგომი შენობაც კი დაანგრია.

აფეთქების შემდეგ შემთხვევის ადგილს ალყა შემოარტყეს ამერიკელმა ჯარისკაცებმა და ერაყელმა მეომრებმა.

ეს აფეთქებაც მიზნად ისახავს ერაყში იანვრის დამლევისთვის დაგეგმილი არჩევნების ჩაშლას.

ორშაბათს, როგორც ცნობილია, ორშაბათს ააფეთქეს ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სუნიტური პარტიის შტაბ-ბინა. სამშაბათს სადამ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქ თიქრითში ერთბაშად პოლიციის რამდენიმე უბანზე განხორციელდა თავდასხმათა სერია.

იმავე დღეს, თავს დაესხნენ ერაყის ეროვნული გვარდიის ერთ-ერთ მაღალ თანამდებობის პირს. აფეთქების შედეგად გვარდიის მაღალჩინოსანი გადარჩა, მაგრამ დაიღუპა რამდენიმე გამმელელი.

ამბოხებულები არა მარტო კარგად არიან ორგანიზებული, არამედ ეძებენ კიდეც ახალ-ახალ საშუალებებს დარტყმების მიყენებისთვის. მოთარეშეთა შორის, სავარაუდოდ, უნდა იყვნენ, როგორც ძველი რეჟიმის მომხრეები და სუნიტი-ექსტრემისტები, ისე უცხოელი რადიკალებიც.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ბოლო ხანებში თითქმის ყველა აფეთქება და თავდასხმა მოხდა სუნიტებით დასახლებულ რაიონებში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იქ, ალბათ, ვერ მოხერხდება არჩევნების ნორმალურად გამართვა. ამის გამო კი, ერაყის ახალ პარლამენტში სუნიტი-დეპუტატები ვერ დიაკავებენ ყველა კუთვნილ ადგილს.

ცუნამის, შესაძლოა, ეპიდემიის გავრცელება მოჰყვეს

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იწყება თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი სამაშველო ოპერაცია.

სანამ ცუნამის შედეგად დაზარალებული სახელმწიფოების აეროპორტებში მიმდინარეობს თვითმფრინავებით ჩამოტანილი ჰუმანიტარული დახმარების გადმოტვირთვა, სანაპირო ქალაქებსა და სოფლებში ცდილობენ დაღუპულთა ზუსტი რაოდენობის დადგენას.

უკანასკნელი მონაცემებით, კვირას მომხდარ სტიქიურ უბედურებას უკვე ემსხვერპლა დაახლოებით 80 ათასი კაცი. გარდა ამისა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში მილიონობით ადამიანი დარჩა უსახლკაროდ.

ახლა, ამ ქვეყნებისთვის ერთადერთი იმედია საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები, გაერო. თვით დაზარალებულ სახელმწიფოთა მთავრობები აღიარებენ, რომ მათ, უბრალოდ, არ ეყოფათ სახსრები ყველა დაზარალებულის დასახმარებლად.

მალდივის კუნძულების ხელისუფლებამ, მაგალითად, უკვე ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კატასტროფის შედეგად მიყენებული ზარალი აღემატება ამ სახელმწიფოს წლიურ მთლიან შიდა პროდუქტს, არადა, ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ, ეს კუნძულები ითვლებოდა „სამოთხედ“ მდიდარი ტურისტებისთვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ დაღუპულთა რიცხვი, შესაძლოა, კიდევ ერთი-ორად გაიზარდოს ეპიდემიების გამო, რომელთა გავრცელებაც უკვე უახლოესი დღეებისთვის არის მოსალოდნელი.

გაერო აღიარებს, რომ ამ ორგანიზაციის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა მისი ექსპერტები ერთბაშად 10 სახელმწიფოში უწევენ კოორდინაციას სამაშველო სამუშაოებს. ასეთ სიტუაციაში კი ძალზე დიდია შეცდომათა დაშვების ალბათობა.

გარდა ამისა, ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ შეღწევას იმ ზოგიერთ სოფელსა და ქალაქში, რომლებიც ზღვის უშუალო სიახლოვეს არიან გაშენებული, და რომლებშაც განიცადეს სტიქიის ყველაზე მძვინვარე შემოტევა.

მარტო შრი-ლანკაში უსახლკაროდ დარჩა მილიონამდე ადამიანი. ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა თანამშრომლები არ არიან დარწმუნებული იმაში, რომ მოასწრებენ კანალიზაციისა და წყალმომარაგების თუნდაც პრიმიტიული სისტემის შექმნას მანამ, სანამ ქვეყანაში გავრცელდება ეპიდემია.

ინდონეზიის ვიცე-პრემიერი არ გამორიცხავს, რომ მსხვერპლთა რიცხვმა იქ შეიძლება 40 ათასს დაადაჭარბოს. ამ ქვეყნის აჩეხის პროვინციაში უკვე თხრიან ათასობით სამმო საფლავს.

შრი-ლანკაში დაიღუპა 21 ათასზე მეტი ადამიანი. ქვეყანაში პარასკევი გლოვის დღედ გამოაცხადეს.

მალდივის კუნძულებზე გადაიდო პარასკევისთვის დაგეგმილი პარლამენტის არჩევნები.

ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებზე მსხვერპლთა რიცხვმა 7 ათასს გადაჭარბა. ერთ-ერთ კუნძულზე – კარ-ნიკობარზე – სავარაუდოდ, ყოველი მეხუთე მცხოვრები დაიღუპა.

ტაილანდის ჰაო-ლაკის კურორტზე იპოვეს 700 უცხოელი ტურისტის ცხედრები.

პოლიომიელითი საბოლოოდ დამარცხდება

უკვე 2005 წლის დამლევისთვის, შესაძლოა შეჩერდეს მსოფლიოში პოლიომიელითის გავრცელება. ასეთ ვარაუდს გამოთქვამენ Global Polio Eradication Initiative საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მათ მიაჩნიათ, რომ ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ მეთოდებს უკვე მოაქვს გარკვეული შედეგები, თუმცა, აღიარებენ, რომ 2004 წელს პოლიომიელითით დაავადების ერთიორად მეტი შემთხვევა დაფიქსირდა, ვიდრე 2003 წელს.

Global Polio Eradication Initiative საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ უნდა გაგრძელდეს იმუნიზაციის მასობრივი კამპანია.

ამ ორგანიზაციის ექსპერტთა აზრით, პოლიომიელითის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა მონაწილეობდნენ არა მარტო ექიმები, არამედ პოლიტიკოსები, დიპლომატები, და უწინარეს ყოვლისა, ადგილობრივი ლიდერები. ყოველად დაუშვებელია ვაქცინაციის შეწყვეტა, როგორც ეს მოხდა ნიგერიაში 2004 წელს, მიაჩნიათ მათ. შეგახსენებთ, რომ ნიგერიამ უარი განაცხადა გაეგრძელებინა იმუნიზაციის მასობრივი პროგრამის განხორციელება, და ამის გამო ვირუსი გავრცელდა მეზობელ ბურკინა-ფასოში, ჩადსა და სუდანში.

აზიის ქვეყნებში კი, სადაც ექიმების მოქმედებაში არანაირი რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა, ვირუსმა დათმო პოზიციები. სულ მალე პოლიომიელითს დაამარცხებენ პაკისტანში, ავღანეთსა და ინდოეთში.

როგორც ავღანეთში ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის კოორდინატორი ნივედ საღოშაი აღნიშნავს, „უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია, ავღანეთში არ დაფიქსირებულა პოლიომიელითის ახალი შემთხვევები. იმედი გვაქვს, რომ ავღანეთის ტერიტორიაზე ვირუსი აღარ არსებობს“.

ყოველივე ეს ექიმებს უნერგავს იმის იმედს, რომ 2005 წლის დამლევისთვის ისინი შეძლებენ პოლიომიელითის დამარცხებას.

თუმცა, ვაქცინაციის მასობრივი პროგრამის გაგრძელებისთვის საჭიროა კიდევ დაახლოებით 200 მილიონი დოლარის გამოყოფა.

მოკლედ

უკრაინელი მშვიდობისმყოფელები 2005 წლის დამლევისთვის დატოვებენ ერაყს. სამშვიდობო კონტინგენტის ერაყიდან გამოყვანას დაახლოებით ექვსი თვე დასჭირდება, განაცხადა უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კუზ-

მუკმა. პარალელურად განხორციელდება სამხედრო მოსამსახურეთა ჩანაცვლება ერაყის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებით.

* * *

მიმავალ წელს ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქში – ნიუ-იორკში დაფიქსირებულია საგზაო-საგრანსპორტო შემთხვევათა შედეგად დაღუპული ადამი-

ანების ყველაზე დაბალი რიცხვი ამ ბოლო ასი წლის განმავლობაში. აქ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2004 წელს ნიუ-იორკის გზებზე დაიღუპა 286 კაცი.

* * *

შესაძლოა, ეს მხოლოდ დამთხვევა იყოს, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მიწისძვრა, რომელსაც სადღეისოდ არსებული მონაცემე-

ბით 80 ათასი კაცი ემსხვერპლა, მოხდა ირანის ქალაქ ბამში, დამანგრეველი ძალის მიწისძვრიდან ზუსტად ერთი წლის გასვლის შემდეგ. შარშან ირანში მომხდარ მიწისძვრას 41 ათასი ადამიანი შეეწირა.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების „ზღვის ლომების“ ჯგუფმა სასამართლოში უჩივლა „ასოშიეიტედ პრესს“ საინფორმაციო სააგენტოს. საჩივრის აღძრის მიზეზი გახლდათ ის, რომ სააგენტომ გაავრცელა ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო, თუ როგორ იგდებდნენ აბუჩად ამერიკელი სამხედროები ერაყის

„აბუ გრეიბის“ საპყრობილის პატიმრებს. მოსარჩელეთა სახით სასამართლოზე გამოვლენ აგრეთვე, სამხედრო მოსამსახურეთა ცოლები.

* * *

უკრაინის ტრანსპორტის მინისტრი გიორგი კირპა, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, შესაძლოა მოკლეს იმის გამო, რომ მან ძალზე ბევრი რამ იცოდა ვიქტორ იანუკოვიჩის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების

შესახებ. გიორგი კირპა უკრაინის პრემიერ-მინისტრის საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი სპონსორი და ორგანიზატორი იყო. იგი მოკლული იპოვეს თავის აგარაკზე.

* * *

ინდოეთის ქალაქ აჰმედნაგარის მეძავებმა სგიქიის მსხვერპლთა დასახმარებლად გადარიცხეს თავიანთი ერთი დღის ამონაგები თანხა – 13 ათასი რუპია. ჰუმანიტარული მიზნებისთვის ფული ჩარიცხეს იმ კომპანიის სახელით, რომელიც იცავს ინდოელი მეძავებისა და მათი შვილების უფლებებს.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 303, ხუთშაბათი, 30 დეკემბერი, 2004 წელი.

◎ მემუარები

ალექსანდრე ჩიკვაიძე

ინტრიგების ლაბირინთში

წიგნიდან — „პოლიტიკური ჭადრაკი“

სიტუაცია დაიძაბა.

ინოზემცევამ თავდაპირველ ტონს არ უღალატა და სერგო რიგვავას პირდაპირ უთხრა:

„თქვენ ალბათ შევარდნაძის მოწინააღმდეგე ბრძანდებით“.

სერგო რიგვავას კარგად ვიცნობდი. ვიცოდი ისიც, რომ საუბარი კონფლიქტამდე შეიძლებოდა მისულიყო და ამიგომ გადავწყვიტე შემერბილებინა სიტუაცია. ინოზემცევას ვუთხარი: „შევარდნაძემ დაიწყო ბრძოლა მანკიერებასთან. ეს ბრძოლა მართალი და უკომპრომისოა. სამართლე და უკომპრომისობა კი ძლიერ ხელს და პრინციპულობას ითხოვს. ამდენად, დღეს საქართველოში ბევრი დაისჯა, ბევრიც სამსახურიდან გათავისუფლდა. საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც ერთი კაცის უკან ათი ათასი მოყვარე უნდა ვიგულისხმოთ. ბუნებრივია, შევარდნაძის სიმართლე ბევრს ვერ და არ ესმის. ამდენად, შეიძლება მოწინააღმდეგეებიც იყვნენ. მაგრამ შევარდნაძეს



ეს ვერ შეაკრთობს თავის სასიკეთო და ქვეყნისათვის საჭირო აქტიურობაში. ძირითადად რესპუბლიკა მის მხარეს არის და რაც შეეხება ბატონ რიგვავას, იგი სწორედ ამ მოწინააღმდეგეებს გულისხმობდა და არა მხარდაჭერის ღეფიციტს. ყველანი ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენს პირველ მდივანს მივყვებით და ბოლომდე გავყვებით ამ დიდ საქმეში“.

როგორც იგყვიან, „ინციდენტი“ ამით ამოიწურა.

თუმცა, მე მეგონა, რომ ამოიწურა.

ამ ამბიდან მეორე დღეს გავფრინდი მოსკოვში. ჩემი უფროსი ვაჟიშვილი, დათო გამოცდებს აბარებდა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში. ჩაირიცხა საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის დასავლეთ ევროპისა და ამერიკის განყოფილებაზე და, რაც მთავარია, არ აპირებდა დიპლომატიური საქმიანობის პერსპექტივის ჩემებრ „ემგეუს საიუბილეო ზნაჩოკზე“ გაცვლას. იმხანად ძალიან ბელნიერი ვიყავი. დათო საბჭოთა კავშირის ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა, თითქოს ჩემს ცხოვრებასაც და საქმიანობასაც არა უშავდა...

გუშინდელივით მახსოვს.

ვიჯექი სასტუმრო „მოსკოვის“ მყუდრო ნომრის ფანჯარასთან, ბელნიერი ვიყავი შვილის წარმატებით. უცებ აბეზარი მწერივით ამეკვეიატა ფიქრი — საშა, ბედნიერი ხარ. თითქოს ყველაფერი კარგად არის. მეშინია, რამე ცუდი არ მოხდეს. არ შეიძლება ადამიანის ცხოვრებაში ასე ნორმალურად იყოს ყველაფერი, რადგან ცხოვრება ბალანსს ემორჩილება. ბალანსის კანონზეა აგებული მთლიანად სამყარო, ქვეყნის კეთილდღეობა, ურთიერთობა ადამიანებს შორის, ოჯახის ღირსება და სტატუსი. ირღვევა ბალანსი, ინგრევა ოჯახი და იშლება ქვეყანა.

დამთავრებული არ მქონდა საკუთარ თავთან საუბარი, რომ ტელეფონმა დარეკა.

ვიქტორ ვასილევი იყო.

აი ის, ვისზედაც ზემოთ უკვე ვთქვი.

„ალექსანდრ დავიდოვიჩ, როგორ ხართ?“ — მკითხა ვიქტორმა ოდნავ გაბზარული ხმით.

„კარგად“, — ვუთხარი გახარებულმა — „იმდენად კარგად, რომ მეშინია რაიმე ცუდი არ მოხდეს. დათო მოეწყო, მასახლეა. თავად როგორ გიკითხო, შენთანაც ხომ ყველაფერი რიგზეა, ეგეს ერთად გვესადილა“.

„ეჰ, ალექსანდრ დავიდოვიჩ“, —გაისმა ყურმილში, — „ჭკვიანი კაცი ხარ, მაგრამ ზოგჯერ ისეთ შეცდომებს უშვებ, გადარევ კაცს“.

„რა იყო, ვიქტორ, რა მოხდა?“ — ვეკითხე და იქვე ცუდად მიაზრა ტანმა.

„რა და ვერ გავიგე, რამ გაგაგიჟა“, — ვასილევის ხმა უკვე აშკარად გაღიზიანებული იყო — „ინოზემცევის ცოლთან შევარდნაძის საყვედურძაგებაში რომ დაღვრილხარ, უკეთესი გასართობი ვერ ნახე? შენი გადაყვანა უნდოდა პარგიის თბილისის კომიტეგის მდივნად. თითქმის გადაწყვეტილი იყო და ახლა შენი სახელის გაგონება აღარ უნდა. გაგაფთრებულია შენი საქციელით“.

ბოდმისაგან დამცეცხლა.

დავუწყე ვასილევს იმის ახსნა, რაც სინამდვილეში მოხდა.

„მე რას მიხსნი“, — გაისმა ყურმილის მეორე ბოლოდან, — „წადი და შევარდნაძეს აუხსენი“.

ესეც შენი კარგად ყოფნა, საშა ჩიკვაიძე. წადი და ამტკიცე ახლა შენი სიმართლე.

სიბრაზისაგან ადგილს ვერ ვპოულობდი. ვერ ვიგებდი, რაგომ იცლიდა უსამართლო გაუგებრობა ჩემთვის ცხოვრების კრიტიკულ მომენტებში.

რა გამაჩერებდა მოსკოვში. გადავწყვიტე სასწრაფოდ თბილისში გადაფრენა, შევარდნაძესთან მისვლა და სიმართლის მოყოლა.

„საქმეს სასწრაფოდ სჭირდებოდა ჩემი თბილისში დაბრუნება. მშვიდობაა, მაგრამ იქ უნდა ვიყო“, — ვუთხარი მეუღლეს და მეორე ღილით პირველ რეისს წამოვყევი თბილისისაკენ.

პირდაპირ აეროპორგიდან, დეპუტგატთა ოთახიდან დავურეკე შევარდნაძეს.

ცივად მომესალმა.

„ბატონო ედუარდ, თუ შეიძლება გადაუდებელი საქმე მაქვს თქვენთან და ეგეს მიმიღოთ“.

„მე არ მსურს შენი ნახვა“, — მიპასუხა.

„ვიცი, რის გამოც არ გინდათ ჩემი ნახვა, მაგრამ აუცილებლად უნდა მიმიღოთ, ძალიან სერიოზული საქმე მაქვს და გამორიცხულია ჩემი თქვენთან არშეხვედრა“.

მაინც უარი.

ჩემს ცხოვრებაში პირველად აღმოვჩნდი მსგავს სიგუაციაში. ჩემს ცხოვრებაში პირველად მეუბნებოდნენ უარს შეხვედრაზე და, ასევე, პირველად მიწევდა თხოვნა ადამიანთან დასალაპარაკებლად. ბოლოს, ოდესაც უკვე მომაბეზრებელ ფონგეიკად იქცა ჩემი დაჟინებული მოთხოვნა, ხვალ ექვს საათზე მიგიღებო, მითხრა შევარდნაძემ.

იმ ღამეს და მეორე დღეს ძლივს გავძელი. ზუსგად ექვსზე მისაღებ-ში ვიყავი.

შევედი.

შევარდნაძემ ძალიან თავშეკავებულად მიმიღო, არ შერხეულა, ხელი არ ჩამოურთმევია. სიმართლე გითხრათ, დიპლომაგიური კომუნიკაციის ხალისი და განწყობა არც მე მქონდა. დავჯექი და პირდაპირ, მიკაბ-მოკიბეის გარეშე გადავედი სათქმელზე. დაწვრილებით ავწერე სიტუაცია, შეულამაზებლად მოვყევი ყველაფერი — ვინ თქვა, რაგომ თქვა, როდის თქვა.

მძიმე, თითქმის უაზრო სიგუაცია შეიქნა. მე სიმართლეს ვყვებოდი, ვიმართლებდი თავს იმის გამო, რაც არ მითქვამს და არ მიფიქრია. შევარდნაძეს ვაგყობდი, რომ საერთოდ არ უნდოდა არაფრის მოსმენა და გაგება.

ბოლოს ბოლმა ისე მომერია, რომ ხმას ავუწიე:

„რას ჭაგავს ეს, რა ინგრიგებია, რა სიცრუეა. რაგომ უჯერებთ ავ ენას, მე მკითხეთ. როგორ შეიძლება ჭორის დონეზე ადამიანთან ურთიერთობებს განსაზღვრა. დაუძახეთ დამბრალებელს და აქვე გავარკვიოთ ვინ მგყუანი და ვინ მართალია“.

შევარდნაძე შეგება. დაწყნარება დამიწყო. თუმცა, ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ არ დაიჯერა სიმართლე და ვფიქრობ, სწორედ ამ ამბის შემდეგ გაჩნდა სერიოზული აბარი ჩვენს შორის.

ასეთია ადამიანის ცხოვრება. ბევრი რამაა ბრმა შემთხვევაზე დამოკიდებული. იმ ქუჩაზე არ გაიარე, იმ ავგობუსში არ ახვალ, იმ ადამიანს არ შეხვდები და დაიძერება ავბედითი ან კეთილი შემთხვევის ჯაჭვი და, ვინ უწყის, რომელ სადგურზე აღმოჩნდება შენი ცხოვრების მაგარებელი...

ამ ამბიდან თითქმის ათი წლის შემდეგ გავიგე, რაც მოხდა. საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის მიმდინარეობითა და შედეგებით „აღტყინებულ“ ინოზემცევას, რომელიც რეალურად სხვას არაფერს წარმოადგენდა ბრეჟნევის მეგობრის მეუღლის გარდა, იმ სუფრაზე გაგონილიდან რაგომღაც მხოლოდ ჩიკვაიძის „ანგიშევარდნაძისეული“ გამოსვლა დამახსოვრებია. რა თქმა უნდა, ავ ენებს არ გასჭირვებიათ ამ „ცხელი სენსაციის“ შევარდნაძისთვის მიგანა. ინგრიგანობა და დაპირისპირება წითელი ზოლივით გასდევდა მთლიანად სისგემასა და ურთიერთობებს.

ეს ამბავი დღესაც მახსოვს, დღესაც არ მასვენებს ჩემი სიმართლე და ალბათ არამკითხე მოამბეობა. რას იზამ, კეთილ ჩანაფიქრსა და განზრახვას კეთილი შედეგი მუდამ არ მოსდევს. ამითაც საინგერესოა ეს ცხოვრება. კიდევ უფრო საინგერესო იქნებოდა, ორჯერ სიცოცხლის ფუფუნება რომ გვქძლოდეს, ერთხელ შავად და შეცდომებით გასაელვლად და მეორედ კი ამ შეცდომების გადასათერებლად.

რა თქმა უნდა, ამ ამბის შემდეგ ისევდაც „თეორი ყვავი“, თქვენი მონამორჩილი, კიდევ უფრო დიდი „პერსონა ნონ გრგა“ გახდა საქართველოს უმაღლესი პარგიული ელიგისათვის და ყველაფერმა ამან, საბოლოო ჯამში, განაპირობა „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ გადაწყვეტილება პარგიული სამსახურისათვის ჩემი ჩამოშორებისა და გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიგეგის, ე. წ. გამსახკომის თავმჯდომარედ გადაყვანასთან დაკავშირებით.

ეს გადაწყვეტილება საკმაოდ მაღალ დონეზე მზადდებოდა. ეძებდნენ ჩემთვის სამსახურს და თანაც იძულებულნი იყვნენ შემოეთავაზებინათ მეგ-ნაკლებად ღირსეული თანამდებობა, რადგან, როგორი განწყობაც უნდა ყოფილიყო შექმნილი, ბოლომდე გულგრილად ვერ მომექცეოდნენ.

გამსახკომის მუშაობას იმხანად გიორგი ბედინეიშვილი კურირებდა და სწორედ მას მოსთხოვა სოლიკო ხაბეიშვილმა რაიმე ვაკანსია ჩემს გადასაყვანად. საუბარი ედუარდ შევარდნაძის კაბინეგში შედგა. ბედინეიშვილს ხელი გაუშლია და უთქვამს, ამ წუთას არაფერი ისეთი არ არის, ერთადერთი — გამსახკომის თავმჯდომარის პოსგია თავისუფალია. ასეც შეთანხმდნენ, მაგრამ შეთანხმება ერთი იყო, ჩემი თანხმობა — მეორე.

მთელი ამ „კარუსელის“ დეგალები წლების შემდეგ გახდა ჩემთვის ცნობილი. ჩიკვაიძესთან დალაპარაკება დაუვალებიათ ქალბატონ ვიქტორია სარაძისათვის. იგი იდეოლოგიის დარგში კკ-ს მდივანი და სერგო რიგვავას მეუღლე გახლდათ, განათლებული, ემოციური, ღირსეული და სიმპათიური ქალი. ვიკა სირაძე თავისი ინგელექგით მუდამ სარგებლობდა კოლეგებისა და, საერთოდ, გარშემომყოფთა პაგივისცემით. წლების განმავლობაში იგი იყო ქართული პარგიული სკოლის სავიზიგო ბარათი, დიდ პაგივს სცემდენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. დამიძახა ქალბატონმა ვიკამ და მითხრა: „საშა, შენი გადაყვანა უნდათ გამსახკომში და, ვფიქრობ, უნდა დათანხმდე“.

წინადადება ჩემთვის მთლიანად მოულოდნელი არ იყო, რადგან გასაგები მიზეზების გამო ფსიქოლოგიურად უკვე მზად ვიყავი. „სადაც მიბრძანებთ, ვიქტორია მოისეევნა, მაგრამ მე რა კავშირი მაქვს გამსახკომთან. ეს არის მნიშვნელოვანი, ეროვნული საქმე. წიგნის გამოცემას პროფესიონალიზმი სჭირდება, არ შეიძლება აქ დაინიშნოს კაცი, რომელიც ღრმად არ არის ჩახედული ნიუანსებში. მე არასოდეს არ მქონია სერიოზული შეხება პოლიგრაფიასთან და არ ვიცი, რამდენად გავამართლებ. ჩემი კონგაქგი საგამომცემლო საქმესთან საკუთარი ნაშრომების გამოცემის დროს წიგნის რედაქგორებთან და კორექგორებთან ურთიერთობას არ გასცილებია. მოგეხსენებათ, საწარმოო პოლიგრაფია სხვა რამ გახლავთ“.

ვიქტორია სირაძემ დარწმუნება დამიწყო. მითხრა, რომ აუცილებლად მალე ავუღები ალღოს ახალ საქმიანობას, რომ არ უნდა გამჭირვებოდა ახალ თანამდებობაზე პროფესიულ, სპეციალისგის დონეზე საქმიანობა.

ბოლოს დავთანხმდი მხოლოდ იმიგომ, რომ დღესაც მიმაჩნია ქართული წიგნის გამოცემა უდიდეს ეროვნული მნიშვნელობის საქმედ.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 297-299, 301.

◎ გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვარ სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი. ვცხოვრობ და პენსიას ვიღებ ქ. თბილისში, აქვე მივრცელდება კუთვნილი შეღავათები. ბაფხულობით ჩავდივარ ჩემს მშობლიურ რაიონში.

მეკუთვნის თუ არა შეღავათები დროებით საცხოვრებელ ადგილზეც?

სოლომონ გოშაძე.

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეღავათები გაგივრცელდებათ მხოლოდ შუძმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სამამულო ომის ინვალიდისათვის დროებით საცხოვრებელ ადგილზე შეღავათის გავრცელებას კანონი არ ითვალისწინებს.

* * *

— ღამეღუპა ახალგაზრდა მეუღლე; სამუშაოზე წასვლისას დაეჯახა მანქანა. დამრჩა ორი მცირეწლოვანი შვილი, რომელთაც დაენიშნათ ჩვეულებრივი პენსია.

გთხოვთ, განმიმარგოთ, ეკუთვნით თუ არა მამის ხელფასიდან ბავშვებს განსხვავებული პენსია?

წინა წლებში მეუღლე მუშაობდა სოფლის საკრებულოში და აუღებელი დარჩა რამდენიმე თვის ხელფასი. ვალდებულია თუ არა ხელმძღვანელობა მომცეს მეუღლის კუთვნილი ხელფასი?

თამარ სუხიშვილი.

— შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით ბავშვებს განსხვავებული პენსია, სამწუხაროდ, არ ეკუთვნით.

აქვე გაცნობებთ, რომ თუ თქვენს აწ გარდაცვლილ მეუღლეს მიუღებელი დარჩა წინა წლების ხელფასი, იგი თქვენ და თქვენს მცირეწლოვან შვილებს უნდა მოგეცეთ.

* * *

— ვარ 71 წლის, შრომისუუნარო პენსიონერი. 1982 წელს სასამართლო წესით გაეცალდი ჩემს მეუღლეს. მყავს ორი შვილი, რომელთაც 18 წლის ასაკამდე ვუხდიდი ალიმენტს. ახლა ვცხოვრობ მარგო.

გთხოვთ, მიპასუხოთ, ვითვლები თუ არა მარგოხელა პენსიონერად და დამენიშნება თუ არა ყოველთვიური სოციალური დახმარება?

ვახტანგ კანაძე.

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველთვიური დახმარება ენიშნებათ იმ მარგოხელა პენსიონერებისგან შემდგარ ოჯახებს, რომლებიც პენსიას იღებენ 18 ლარის (დედაქალაქში — 21 ლარის) ოდენობით და არ ჰყავთ კანონით ვალდებული მარჩენალი ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

კარგად გვესმის თქვენი, მაგრამ კანონის ზემოაღნიშნული მთხოვნიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენ გყავთ სრულწლოვანი, შრომისუნარიანი შვილები, აღნიშნული დახმარების მიღების უფლებას, სამწუხაროდ, ვერ იპოვებთ.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

◎ „არის მკითხველი მშვენიერ წიგნის“

თავისუფლების მკაცრი საკანი

(მეოთხე გვერდიდან)

მარსელ პრუსტი, ვის ურყევ ავგორიგეგსაც ესმა ონიანი თავის ჩანაწერებში ხშირად მოიხსენიებს, ერთგან „ინგელექგუალურ ცოდვებზე“ საუბრობს, როცა ნასწავლი პროფესია, სგაგუსი თუ ნაკითხობა არაფერს ნიშნავს მოქმედი ნიჭიერების წინაშე.

ესმა ონიანის ჩანაწერებიდან: „მხაგვრებზე, მხაგვრობაზე ყოველთვის სასაციოდ წერენ ლიგერაგურულ ნაწარმოებებში... რაღაც ფსევდო-ბოჰემური წარმოდგენების გამოდავნებები... შეიძლება ამითაც განსაზღვრო თუ რა დონეზეა, რა გემოვნებისაა მნახველი... თურმე სად ჩერდება მათ მიერ ფერწერის მხაგვრობის გაგების საფეხური“...

„არც რეკლამა მქონდა... ლანდღვის მეგი არაფერი მიმიღია... ამაზე არ მაინგერესებს ლაპარაკი...“ ეს თემა დაიწყო თუ არა, მაშინვე დაასრულა, როგორც ჩანს, მგკივნეულად, მაგრამ ბუნებრივად მიიღო... თუმცა ღღეს იძულებულნი ვართ ვაღიაროთ, რომ მართლაც ასე იყო და მაინც ეს არ იყო მთავარი... სრულყოფილი ნაწარმოები სძლევს — სინამდვილის არასრულყოფილებას... არასრულყოფილის დაძლევა სრულყოფილად გამოხაგვით სცადა და შესძლო:

ESMA ONIANI
ESMA ONIANI
ESMA ONIANI

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის

განცხადება

სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი
ინსტიტუციური რეფორმის კომპონენტი

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მოამზადა სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი, რომელსაც აფინანსებს საერთაშორისო განვითარების ასოციაცია და გარემოს დაცვის გლობალური ფონდი. პროექტი რაგფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ და 2001 წლის თებერვლიდან გახდა ეფექტური. პროექტი შედგება სამი კომპონენტისაგან: (ა) საკონკურსო გრანტების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ადაპტირებადი კვლევის შედეგების დანერგვას ფერმერულ მეურნეობებში; (ბ) სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების სისტემის რეფორმა, რომელიც ხორციელდება შერჩეული მაღალპრიორიტეტული კვლევითი მიმართულების მაგალითზე: (გ) გარემოს დაცვის კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან დაბინძურების შემცირებას.

სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების სისტემის რეფორმისათვის შერჩეულია ორი პრიორიტეტული მიმართულება: მევენახეობა და მეხილეობა, ხოლო დაწესებულებები: (ა) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მევალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტი და (ბ) საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეხილეობის კათედრები.

პროექტების საკოორდინაციო ცენტრს დაგეგმილი აქვს საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტის სახსრების ნაწილის გამოყენება ადგილობრივი კონსულტანტის (ფიზიკური პირის) დასაქირავებლად, რომელიც შედამხედველობას გაუწევს ინსტიტუციური რეფორმის კომპონენტის ფარგლებში მიმდინარე მევალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტის და მის სისტემაში არსებული საცდელი სადგურების შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარემონტო და საკოლექციო, საცდელ-სადემონსტრაციო, ექსპერიმენტული ნაკვეთების გაშენებარეაბილიტაციის სამუშაოებს, აგრეთვე სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ანალოგიურ ობიექტებს სამუშაოთა დროული და ხარისხიანი შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. კონსულტანტმა სამუშაო უნდა შეასრულოს 2005 წლის 20 იანვრიდან 2006 წლის 20 იანვრამდე პერიოდის 180 კალენდარულ დღეში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე ფიზიკურ პირებს აღნიშნული მომსახურებისათვის.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ განცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ და ავტობიოგრაფიული მონაცემები (CV) დიპლომებისა და სერტიფიკატების ასლებთან ერთად.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მინიმალური კრიტერიუმები:

– უმაღლესი საინჟინრო განათლება;
– სამშენებლო-სარემონტო საქმიანობის არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება;
– ანგარიშგების მაღალ დონეზე წარმოების უნარი;
– ქართულ ენაზე ზეპირი და წერითი მეტყველების სრულყოფილი უნარი;
– ავტომანქანის მართვის უფლება და გამოცდილება.

ადგილობრივი კონსულტანტი შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ 1997 წლის იანვარში გამოცემული და 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული სახელმძღვანელო დებულებების „კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ“ დებულებების შესაბამისად.

საკონკურსო განაცხადები და ავტობიოგრაფიული მონაცემები მიიღება ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2005 წლის 13 იანვრის 15:00 საათამდე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი.

საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას 41, III სართული, ოთახი 324, ტელ. ტაქსი: 93-46-51. ელ-ფოსტა: office@adpcc.org.ge

სს „საქართველოს საგზაო ბანკი“ აცხადებს აუქციონს. გასაყიდად გამოტანილი იქნება:

№	დასახელება	რაოდენობა	1 ცალის ფასი (ათას დოლარი)
1	გერმანული წარმოშობის ოფროკული შავი ჯიშის ხარშეტე (3 წლის) სორაქლები	ნეტ 43 ფრთა 33 მდედრი. 10 მამრი.	2870
2	საინკუბატორო შენობა. მდებარე ხეთაგაზურის რ-ნი, სოფ. კასპური. (50 კვ)		5940
3	სასაწყობოსასაცავო შენობა. მდებარე ხეთაგაზურის რ-ნი, სოფ. კასპური		5171
4	სამაშენე ზოგადსრული სორაქლეტების შენობები (511 კვ)		33176 $
5	მოზარდი ფრინველების საყუთები (შენობა)		4961
6	ბატალიონი წარმოშობის სორაქლების გამოსაზრდელი-გადასატანი ბრეფერი	6	4335
7	ბატალიონი წარმოშობის სორაქლების კვერცხის სპეციალიზებული ინკუბატორი ოთხი დეპანდიტერი	3	6338
8	ფრინველების სასეირნო მოედნების ღობე (1800 კვ)		4320
9	3 ფაზიანი ელექტრო ხაზი, განიერი. (270 მ)		2106
10	გარე ღობე		1150
11	მოედნების განიერი ღობე		13464

განცხადება მიიღება 2005 წლის 10 იანვრამდე. აუქციონი ჩაგარდება 2005 წლის 11 იანვარს, 12 საათზე, სს „საქართველოს საზღვაო ბანკში“ (ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №60).

ცნობებისათვის დარეკეთ 77338, 76007.

2005 წლის 18 იანვარს დღის 14 საათზე შედგება სს „ქართული ფილმის“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. სს „ქართული ფილმის“ 2004 წლის საფინანსო სამეურნეო შედეგებზე აუდიტის დანიშვნა;
2. სს „ქართული ფილმის“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კინოვიდეოს ქონებრივი ურთიერთობის საკითხის შესახებ.
3. სხვადასხვა.

მისამართი: ქ. თბილისი, ახმეტელის ქ. №10 ა. სს „ქართული ფილმი“.

განცხადება

სს „საქსამშენმეცნიერება“ იწვევს თავის აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე 2005 წლის 21 იანვარს 11 საათზე კ. ქუთათელაძის ქ. №8-ში.

დღის წესრიგი:

1. საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

სააღრიცხვო დღე 2004 წლის 15 დეკემბერი.

შეგზუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რაჭული ღვინო-97“ აცხადებს თვითლიკვიდაციას.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მოგვაკითხოთ მისამართზე: ამბროლაური, ჭავჭავაძის პირველი შესახვევი №5. ტელ: 98-88-03.

განცხადება

სააქციო საზოგადოების რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ

სს „ქუთაისის ავტოქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭო და დირექცია იწვევენ სს-ის აქციონერებს რიგგარეშე კრებაზე, რომელიც გაიმართება 2005 წლის 21 იანვარს, 14 საათზე. ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის 88-ში მდებარე სააქციო საზოგადოების სხდომათა დარბაზში.

დღის წესრიგი:

1. სს „ქუთაისის ავტოქარხნის“ ახალი აუდიტორული ფირმის არჩევის შესახებ.
2. სს „ქუთაისის ავტოქარხნის“ წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება.
3. 2004 წლის 9 ივლისის აქციონერთა რიგგარეშე კრების დღის წესრიგის პირველ საკითხზე – სააქციო საზოგადოების 2001 წლის 16 ნოემბრის აქციონერთა კრების გადაწყვეტილების – საწესდებო კაპიტალში მიწის ნაკვეთის შეტანისას აქციათა ემისიის გზით გაზრდილი აქციების რაოდენობის გადანაწილებისას დაშვებული ხარვეზის გასწორება – მიღებული გადაწყვეტილების ახალი რედაქციით ჩამოყალიბება.

კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2004 წლის 20 დეკემბერი.

დღის წესრიგის საკითხების გამო ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ საზოგადოების დირექტორატში, ტელეფონი 7-50-21; 7-26-95.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელები ან მათი წარმომადგენლები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში 2004 წლის 20 დეკემბრის 18 საათის მდგომარეობით, რომელსაც აწარმოებს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი „ICT დელამენი“ (თბილისი, აღმაშენებლის 153. ტელ: 94-14-91; 94-18-28).

სს „ქუთაისის ავტოქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭო, დირექცია.

⊙ ჭიდაობა

3 ათასი დოლარი – ნაჯაღლთან ერთად

დაღესტნის დედაქალაქ მახაჩყალაში, ივან იარგინის სახელობის სპორტის სასახლეში გაიმართა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი „კავკასიის თასი“ ქალაქის მერიისა და ადმინისტრაციის მეთაურის საიდ ამიროვის პრიზზე.

შეჯიბრებაში საქართველოს, დაღესტნის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, სომხეთის, სტავროპოლის მხარის და აზერბაიჯანის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ. ასპარეზობის დევიზი იყო – „კავკასია ტერორიზმის გარეშე“.

საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით წარსდგა ხალიჩაზე: ბესარიონ გოჩაშვილი (55 კგ), გიორგი ბალუაშვილი (60 კგ), შალვა მუხიაშვილი (66 კგ), ოთარ თუშიშვილი (74 კგ), მალხაზ ჯორბენაძე (84 კგ), მიხეილ ტურაშვილი (96 კგ), დავით ოთიაშვილი (120 კგ); მწვრთნელები – მერაბ მუზიაშვილი და ელადიმერ იაშვილი, გუნდის უფროსი – გურამ საღარაძე.

საქართველოს ფალავნები შეჯიბრებაზე გასამგზავრებლად თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურმა (უფროსი გიორგი უღლისანი) დააფინანსა.

„კავკასიის თასის“ გათამაშებამ, რომელიც 40 ათასი ამერიკული დოლარი დაჯდა, დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს გუნდური ასპარეზობა მასპინძლებმა მოიგეს. საქართველოს გუნდმა მოულოდნელი მარცხი (3:4) იწვნია ყარაჩაი-ჩერქეზეთის ნაკრებთან. საბოლოოდ ჩვენებმა მესამე ადგილი, პრემიად კი 3 ათასი დოლარი დაიმსახურეს. ყველა შეხვედრის მოგებისათვის სპეციალური პრიზები ბესარიონ გოჩაშვილმა და გიორგი ბალუაშვილმაც დაიმსახურეს.

საქართველოს მოჭიდავეთა დელეგაციის თითოეულმა წევრმა, აგრეთვე საჩუქრად მიიღო თეთრი და შავი ნაბდები ქამარ-ხანჯლითურთ.

როგორც ჩანს, სამომავლოდ „კავკასიის თასი“, მეტ ავტორიტეტს მოიხვეჭს. სავარაუდოდ, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ფალავანთა სამაგჩო შეხვედრაც გაიმართება.

გაგრიელ გარჯაძე.

⊙ ტაილანდური კრივი

გვასახელეს!

ამას წინათ ბანგკოკმა გაილანდურ კრივში მსოფლიო ჩემპიონაგს უმასპინძლა. 62 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის დედოფლისწყაროელი ია ინასარიძეც გახლდათ.

მან თეთრმეტი წლისამ დაიწყო ვარჯიში გაილანდურ კრივში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თამაზ ყარაგოშაშვილის ხელმძღვანელობით. თბილისის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პირველი კურსის სტუდენტი დღესაც მასთან იმაღლებს ოსტატობას.

... ია ინასარიძემ მსოფლიო ჩემპიონატზე შედიზედ რამდენიმე მეტოქეს სძლია, ფინალში კი გაილანდელ მეტოქესთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. გაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ჯავახიამ აღნიშნა, რომ ამგვარ შეჯიბრებაზე ქართველმა გოგონამ პირველად მოიპოვა ვერცხლის ჯილდო.

ბანგკოკში საქართველოს კიდევ ხუთი სპორტსმენი ასპარეზობდა. ცოტნე სამუშიამ ოქროს, ლაშა ორაბელაძემ კი ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

ღედოფლისწყაროელი სპორტსმენები გაილანდში გასამგზავრებლად კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა პეტრე ცისკარიშვილმა დააფინანსა.

ნანა ჟიჟინაძე,
„სრ“ საკ. კორ.

სურათზე: ია ინასარიძე მწვრთნელთან ერთად.

ⓘ ჩვენებურები

თბილისში დაწყებული ქუთაისში დაამთავრა

ჩვენი კველი ნაცნობი ანზორ კავაზაშვილი

19 წლის ბათუმელი ანზორ კავაზაშვილი (დაბ. 1940 წლის 19 ივლისს) თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს. უკვე ერთი წლის შემდეგ იგი ბათუმში დაბრუნდა. არა, სათამაშოდ არა. უბრალოდ აქ მართავდა შეკრებას ლეონგრადის „ზენიგი“ იმ დროისათვის ცნობილი მწვრთნელის გიორგი ჟარკოვის ხელმძღვანელობით, ანზორი ამ გუნდის ძირითადი მეკარე გახდა. ეს, რა თქმა უნდა, ჭაბუკის უდავო ნიჭზე მეტყველებდა. საინტერესოა, რომ აქაც, ისევე, როგორც თბილისის „დინამოში“, სულ ერთი სეზონი გაატარა. შემდეგ 8 წელი მოსკოვის „ტორპედოში“ თამაშობდა, კიდევ 3 – მოსკოვის „სპარტაკში“, კარიერა კი 1972 წელს ქუთაისის „გორპედოში“ დაამთავრა.

მიღწევები? რამდენიც გნებავთ, 1965 და 1969 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო, 1968 და 1971 წლებში – საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი. ორჯერ – 1965 და 1967 წლებში ქვეყნის საუკეთესო მეკარედ აღიარეს. საბჭოთა კავშირის ნაკრებში 30-ჯერ ითამაშა. მსოფლიოს ორი, 1966 და 1970 წლების გათამაშების მონაწილე იყო.

ერთმა ჟურნალისტმა კავაზაშვილთან საუბარში იგი ომისშედეგომი წლების ცნობილ მეკარე ალექსეი ხომიჩს (მოსკოვის „დინამოდან“) შეადარა. „ისეთივე ელვისებური რეაქცია, ნახტომი გქონდათ, თუმცა თქვენი თამაშის კლასი უფრო მაღალი იყო“. შეიძლება ითქვას, რომ ამ შედარებამ ანზორი მაინცდამაინც არ გაახარა: – ეს სიტყვები მე პირველად ვალენტინ ივანოვმა მითხრა. მაღლობას კი მოვახსენებ, მაგრამ ძალიან მიჭირს იმის თქმა, მართლაც ვგავდი თუ არა ხომიჩს. საქმე ის არის, რომ მე იგი არ მიცქერია. ურუგვაელების შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმაც მოგვაგაყუეს, არ გადაგვიხადეს პრემიალური თანხები ბელგიისა და სალვადორის ნაკრებების დამარცხებისათვის, მეოთხედფინალში გასვლისათვის.

ნახავს როგორც მეკარე, აი, კარებს უკან ფოტოაპარატით კი – არაერთგზის. 1970 წელს მე და ხომიჩი მსოფლიო ჩემპიონაგზე ვიყავით მექსიკაში. ხომიჩი, როგორც“ ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ხოკეის სპეციკორესპონდენტი, მე კი საბჭოთა კავშირის ნაკრების მეკარე. ეს ჩემპიონაგი ცუდად დამამახსოვრდა. ურუგვაელთა თავდამსხმელი კუბალა ჩვენი კარისაკენ რომ გამოიჭრა, ბურთი აუსხლგა და აუტში გავიდა. მსაჯმა ვერაფერი შეამჩნია. ვითომ აქ არაფერიაო, კუბალა ისევ დაეუფლა ბურთს (ამ დროს ჩვენი მოთამაშეები გაჩერდნენ, მსაჯის სასტვენს ელოდნენ), კართან ჩააწოდა და ესპარაგომ გოლი გაგვიგანა. ასე გამოვეთხოვეთ ჩემპიონაგს. ჩვენი უსიამოვნება ამით არ დამთავრებულა. ურუგვაელების შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმაც მოგვაგაყუეს, არ გადაგვიხადეს პრემიალური თანხები ბელგიისა და სალვადორის ნაკრებების დამარცხებისათვის, მეოთხედფინალში გასვლისათვის.

თამაშის დამთავრების შემდეგ კავაზაშვილი პროფესიული მწვრთნელი გახდა. სხვათა შორის წვრთნიდა ჩადისა და გვინეის ნაკრებებს, რუსეთის ჭაბუკთა ნაკრებს. ასე იმუშავა 15 წლის მანძილზე, შემდეგ კი მწვრთნელის პროფესიაზე გული აიცრუა, რაგომ?

– რაგომ ავიღე ხელი მწვრთნელობაზე? ვერ ვიგანდი იმ ჭეჭყს, რომელიც რუსეთის ფეხბურთში იყო. ეს განსაკუთრებით მსაჯებთან ურთიერთობას ეხება. ისინი რაგომღაც თვლიდნენ, რომ მთავარი მწვრთნელი ვალდებულია რესგორანში დაპაგიყოს, საჩუქრები მიუგანოს.

ერთხანს ანზორ კავაზაშვილი რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი იყო, შემდეგ რუსეთის ფეხბურთის ასოციაციას ხელმძღვანელობდა. ყოველთვის ძალიან უპირისპირდებოდა რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს, რომლის წინააღმდეგ ახლა რუსულ პრესაში მკაცრი კრიგიკა გაისმის.

– თავის დროზე ჩვენ მასთან ბრძოლაში დავმარცხდით, რადგან მდიდარი გამოცდილებაც ჰქონდა, კავშირებიც, ხელისუფლებაც მხარს უჭერდა.

თუმცა, როგორ იქნება საქმე ახლა?!

გივი თორელი.

ⓘ ფეხბურთი

ტურნირს ტურნირი მოსდევს

ყოფილ სართავ-საგრიკოგაყო კომბინაგის სგადიონზე ხშირად იმართება ბავშვთა საინტერესო ტურნირები ფეხბურთში. სულ ახლახან ერთმანეთის მიყოლებით, აქ მოეწყო თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული კაპიტანის ავთანდილ ღოღობერიძისა და „ბამბის ნართის“ საზოგადოების ყოფილი დირექტორის, სპორტის დიდი ქომაგის, წარსულში ცნობილი მეკარის ჯემალ მახარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ასპარეზობები.

უმცროსი ასაკის (1992 წელს დაბადებულთა შორის) ფინალურ მაგჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ოლიმპისა“ (მწვრთნელი გია ჯმუხაძე) და „მართვეს“ (მწვრთნელი დავით კაციგაძე) გუნდები. დაძაბული შეხვედრა ანგარიშით 2:1 „ოლიმპის“ ფეხბურთელებმა მოიგეს, რომლებსაც ავთანდილ ღოღობერიძის თასი გადაეცათ. მესამე ადგილი დაიკავეს „გამარჯვების“ ფეხბურთელებმა.

რაც შეეხება ჯემალ მახარაძის მემორიალის ფინალურ მაგჩს (ერთმანეთს 1991 წელს დაბადებულები ეპაექრებოდნენ), აქ „გეორგიას“ (მწვრთნელი მერაბ მდივნიშვილი) და „ნორჩი დინამოელის“ (მწვრთნელი რევაზ გაგუა) გუნდები დაუპირისპირდნენ. მაგჩი ტურნირის მასპინძლებმა „გეორგიას“ ჭაბუკებმა მოიგეს და საპაგიო თასს დაეუფლნენ. მემორიალის ორგანიზაგორების გადაწყვეტილებით, მესამე ადგილი წილად ხვდათ „გეორგიასა“ და „მეგროს“ გუნდებს.

შალვა ძორიძე.

სურათებზე: გამარჯვებული გუნდები.
რობერტ ბაგრიანის ფოგო.

ⓘ ჟრელაჭრელა

როცა შტორმი მძვინვარებს...

ძლიერმა შგორმმა ბევრი იახგა აიძულა მეგოვვებინა ტრადიციული რბოლა მარშრუგით სიდნეი-ჰობარგი. პირველი ცნობა დაზიანებების შესახებ გააგზავნა ახალზელანდიურმა Konica, რომელიც ცდილობდა ავსგრალიის ან გასმანიის მახლობელ პორგამდე დამოუკიდებლად მიდწევას. ცოგა მოგვიანებით სახიფათო ვითარებაში აღმოჩნდა ავსგრალიური იახგაც Skandia მისი ეკიპაჟის 16 წევრი მამველ ხომალდზე გადასვეს. თავად იახგის ბუქსირება მახლობელი ნავსადგომისკენ შგორმული გალღების გამო შეუძლებელია. საერთო ანგარიშით, სამშაბათისათვის, როცა ფინიშამდე 145 მილი იყო დარჩენილი, რბოლა მიაგოვა 42-მა ხომალდმა.

მოკრივე დაიკარგა

უგგზო-უკვლოდ დაიკარგა ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი სამ კაგეგორიაში ალეკსის არგუელო. ამის შესახებ ნიკარაგუას პოლიციას მოკრივის ცოლმა და ქალიშვილმა აცნობეს.

არგუელო ქვემსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონი პირველად 1974 წელს გახდა. მომდევნო რვა წლის მანძილზე მისთვის უცხო იყო დამარცხება სატიგულო ბრძოლაში, თანაც ჩემპიონის ქამარი მოიპოვა პირველ მსუბუქ და მსუბუქ წონებში. დიდი სპორგიდან წასვლის შემდეგ არგუელო გაკოტრდა, რადგან ნიკარაგუას ხელისუფლებაში მოსულმა სანდინისგებმა მისი ქონების კონფისკაცია მოახდინეს, რის შემდეგ ექსჩემპიონი ალკოჰოლსა და ნარკოგიკებს „დაუმეგობრდა“.

40 წლისამ კვლავ სცადა რინგზე დაბრუნება, მაგრამ ამაოდ დაშვრა. ბოლო წლებში იგი კრივის მწვრთნელად მუშაობდა. წლეულს მაფხულში კი ნიკარაგუას დედაქალაქის საქალაქო საბჭოს წევრად აირჩიეს.

ზედიზედ მესამედ

მსოფლიოში ყველაზე პრესგიჟული ველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ ექვსგზის გამარჯვებული, ამერიკელი ველოსიპედისგი ლენს არმსგრონგი საინფორმაციო საგენგოს AP მიერ მოწყობილი გამოკითხვით ზედიზედ მესამედ დასახელეს წლის საუკეთესო სპორგსმენად. აქამდე მხოლოდ ლეგენდარული კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი იყო სამგზის საუკეთესო.

წლის საუკეთესო სპორგსმენ ქალებად კი დასახელებულნი არიან შვედი მეგოლფე ანიკა სორენსგამი, ამერიკელი კალათბურთელი დიანა გარუსი და რუსეთელი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა.

უპატრონო „მილანი“?

ამას წინათ იგალიის პარლამენგმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, იგალიის მთავრობის წევრებს სახელმწიფო სამსახურის გარდა ეკრძალებათ სხვა რაიმე საქმიანობა. სწორედ ამ კანონის შესაბამისად თანამდებობა დაგოვა საფეხბურთო კლუბ „მილანის“ პრეზიდენგმა, იგალიის მთავრობის მეთაურმა სილვიო ბერლუსკონიმ.

ზოგიერთი სპორგული მიმომხილველის აზრით, „მილანის“ პრეზიდენგის სავარძელს დაიკავებს ბერლუსკონის ვაჟიშვილი პიერ სილვიო. თუმცა, ის უკვე მათი ოჯახის კუთვნილი, საგვარეულო მედია-იმპერიის „მედიასეგის“ ვიცე-პრეზიდენგია, ისე რომ, სხვა თანამდებობის შეთავსება მასაც ეკრძალება.

მაშ, ვინ იქნება „მილანის“ პრეზიდენგი?

საქართველოს რესპუბლიკა
№ 303, ხუთშაბათი, 30 დეკემბერი, 2004 წელი.

ალბომი

ქეთევან ჩაიძე აქვს სახსოვარი

დები ლიანა (მარცხნივ) და ქეთევან ნემსაძეები. ქუთაისი. გასული საუკუნის 50-იანი წლები.

მოგვაწოდა სალომე ბანძელაძემ.

მადლობა

ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის დირექტორს პროფ. რ. ბაბუას, კლინიკა „ქართლის“ სოლმძღვანელს პროფ. ბ. ნემსაძეს, ამავე კლინიკის დირექტორს ბ. ძაბნიძეს, ექიმებს მ. ჯანჯალიას, ი. კოხრეიძეს, ანესთეზიოლოგს ი. ლაზიძეს და მთლიანად ცენტრის მედპერსონალს უღრმეს მადლობას ვუხდით გულისხმიერებისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის და ვუღაცავთ დამდეგ მობა-ახალ წელს.

თემურ ნაცვლიშვილის ოჯახი.

გაბედულად!

სოფელ შაშიანს ერთი კომლიც მიემატა

დეკემბერი ბოლო დღეებს ითვლის. ყველა საახალწლო სამზადისშია. საშეიმო განწყობილებაა სამშობიარო სახლებშიც... საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლის (აქ მშობიარობა უფასოა) უფროსმა მედდამ ეთერ ტიგვინიძემ გვაცნობა:

– 28 დეკემბრის ჩათვლით ჩვენთან ამ თვეში 100 ბავშვი დაიბადა. მათ შორის არიან რაიონებიდან ჩამოსულებიც. სამგრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მცხოვრებ მანანა პაგარიძეს გოგონა შეეძინა, გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანიდან ჩამოყვანილ მარინა მალაციძეს კი – ბიჭი. ჩემს სოფელს ერთი კომლიც მიემატაო, მითხრა ვაჟის შეძენით გახარებულმა დედამ.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...

თუ თქვენს მეუღლეს ცუდი განწყობით დაეძინა და კარგ ხასიათზე გაეღვიძა, დაინტერესდით, ვინ დაესიზმრა.

* * *

თუ შენი უფროსი უკანასკნელი ნაძირალაა, ნურავის ეტყვი ამის შესახებ. უმჯობესია, დაიცადო, ვიდრე ამას სხვა ვინმე იტყვის და მერე მოუყევი უფროსს.

* * *

— სულ ერთი კვირის წინათ ვიყიდე თქვენთან ეს ფეხსაცმელი და უკვე თითები მიჩანს, — ეჩხუბება მიხოს გაბრაზებული კლიენტი და ლანჩაამძვრალ ფეხსაცმელს ცხვირწინ უტრიალებს.

— კი, მაგრამ, თქვენი აზრით, ფეხის თითების გარდა სხვა რა უნდა ჩანდეს ფეხსაცმლიდან?

* * *

— ეძიმო, როდესაც ხელებით მუხლებს ვეხები, იმავდროულად უკან გადავიზნიქები და ჯერ ერთ ფეხს ავწევ ზევით, მერე კი — მეორეს, ხერხემალში საოცარ ტკივილს ვგრძნობ, — წუწუნებს მიხო.

— მაგრამ რატომ აკეთებთ ასეთ რთულ სავარჯიშოს?

— სავარჯიშოს? აბა, თქვენ სხვანაირად როგორლა იცვამთ შარვალს?

* * *

— აბა, მითხარით, რა გაწუხებთ? — ეკითხება ექიმი პაციენტს.

იგი პასუხად გადატყავებულ და გაშავებულ ენას აჩვენებს.

— ღმერთო ჩემო, რა დაგემართათ?

— არაფერი განსაკუთრებული. უბრალოდ, ორი ლიტრი არაყი ასფალტზე დამეღვარა.

* * *

საბჭოთა ტურისტი ამერიკელი მუშის ბინას ათვალიერებს — საძინებელი, სასადილო, საბავშვო, სასტუმრო ოთახები, სამზარეულო...

— ასეთი ბინა ჩვენც გვაქვს. ოღონდ — უტიხრებოდ!

* * *

პატარა მიხო მაღაზიაში შედის, გამყიდველს ქილას აწვდის და შიგ სამი ლარის თაფლის ჩასხმას თხოვს.

გამყიდველმა თხოვნა შეუსრულა.

— ფულს მამაჩემი ხვალ გადაგიხდით, — ეუბნება მიხო.

— ხვალ არა, ზეგ. ვიცი მე, რისი გადამხდელიცაა მამაშენი, — ხელიდან გამოგლეჯს მიხოს ქილას გამყიდველი და იქიდან თაფლს კვლავ ვედროში ჩაასხამს.

გამოდის მიხო ცარიელი ქილით მაღაზიიდან, ქუჩის კუთხეში გაჩერდება, დაათვალიერებს ქილას და ამბობს: — მართალი ყოფილა მამაჩემი. აქ ჩარჩენილი თაფლი საკმარისია ორ ნაჭერ კარაქიან პურზე გადასასმელად.

განწყობა

თბილისის 22-ე საშუალო სკოლის მეორეკლასელებმა (დირექტორი გ. ხორბალაძე) ამ ცოტა ხნის წინ დიდი ბარ-ბეიმით გააცილეს შემოდგომა ახლა კი გრადიციულ შობა-ახალ წელს ეგებებიან.

პაგარა სცენაზე ცოტა ხნის წინათ შემოდგომის ფერადოვნებას თუ ვხედავდი, ახლა ვერცხლისფერს აუვსია, ფიფქების ფერს... პაგარა კესო ქაფანაძე წვიმაზე რომ მდეროდა, ახლა თოვლის ფანტელებზე ფიქრობს, ნინო გაგოშიძესაც თოვლი ენაგრება, გიორგის, დათოს, რეზოს, ილიკოს, მამუკას, საბას – ციგაობა და სველი გუნდები.

სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ გოგო-ბიჭები, მათთან ერთად ვხედავდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ შობა-ახალი წლის სურათებს. ვხედავდი თავფარავანთან, ქართლსა შინა სანუკვარი ვაზის ჯვარით მოსულ წმინდა ნინოს, მეფე თამარს, დიღუბის ტაძართან შეკრებილ ქართველთა ლაშქარს, ვხედავდი ქვაში ჩაკირულ ვაზის ლერწებსა თუ ქართულ ჩუქურთმებს, ვხედავდი საქართველოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს, გუთნისდედას, ღმის მეხრეს, მლოცველებს...

– არ მოველოდი, რომ ეს ბავშვები ამდენად გაცნობიერებული იყვნენ რელიგიაში, ხელოვნებაში, კლასიკაში, ყველა ნომერი გარკვეულ თემასთან იყო დაკავშირებული, აღფრთოვანებული ვარ, ღონისძიებამ გაამართლა, რაც მასწავლებლის შრომას უკავშირდება, – მახსენდება ხელოვნებათმცოდნე ნანა მაჭარაშვილის სიტყვები.

– ბავშვები შესანიშნავად მღერიან, ცეკვავენ, საოცრად არგისტულები არიან, ლამაზად მოძრაობენ სცენაზე და ყოველივე ეს მათი მასწავლებლის – მარიკა რეხვიაშვილის დამსახურებაა. ამ ბავშვებში დიდი შემოქმედებითი პოტენციალი იჯრძნობა, რასაც გამოვლენა სჭირდება და ყოველივე ეს მხოლოდ შემოქმედს ხელეწიფება, ნამდვილ შემოქმედს... – მესაუბრება სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ქალბატონი ნესტან კუპრავა.

ზეიმის ბოლოს პაგარები ყვავილებში ჩაფლულ დამრიგებელს, მარიკა რეხვიაშვილს შემოეხვივნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ საოქმელს...

– რა არის თქვენთვის სამშობლო, საქართველო?! – ვკითხე პაგარებს.

– საქართველო?! – ვარსკვლავები აუკიაფდა თვალებში ნინო გაგოშიძეს, – ეს ჩვენი სამშობლოა, ჩვენი მთები, ჩვენი მდინარეები, ჩვენი ღედა, ჩვენი საყვარელი მარიკა მასწავლებელი...

... – ალბათ უფრო მეტის გაკეთება გინდოდათ?! – მივუბრუნდი ძღელვარებისგან და გადაღლილობისგან ხმაწართმეულ მარიკა მასწავლებელს.

– რა თქმა უნდა, მეტის გაკეთება მინდოდა მათთვის, მაგრამ ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული, მშობლებს ძალიან უჭირთ. გაჭირვება რომ არა, უფრო მასშტაბურ ღონისძიებას გავმართავდით, შეიდი წლის ბავშვებმა სამ კვირაში მიაღწიეს ამ შედეგს...

– ხომ არ ფიქრობთ, უფრო დიდ სცენაზე წარმოაჩინოთ მათი შემოქმედება?

– ჩვენ რომ სპონსორი გვყავდეს, უფრო გავშლიდით ფრთებს...

– თქვენს ბავშვებს თამამად შეუძლიათ, რომ თავიანთი შემოქმედება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ თანატოლებს აჩვენონ, საქართველოს გარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთანაც სასურველია იმეგობრონ, შემოქმედებას ხომ ზღვარი არ სჭირდება, ვფიქრობ, დღეს ამ იდეას უკვე ჩაუყარეთ საფუძველი.

– ძალიან კარგი იქნება... სიამოვნებით გავმართავდი ასეთ ღონისძიებას...

...სცენა კი ახლა ვერცხლისფერ წვიმებს აუვსია, ფიფქებს, საშობაოსაახალწლო განწყობას...

ნინო კიკილაშვილი-მაჩაგელი.

სურათზე: ასე ემზადებიან თბილისის 22-ე სკოლაში შობა-ახალი წლის შესახვედრად.

ახლა ვერცხლისფერს აუვსია სცენა მთლიანად...

წინასაახალწლო ბაზარი

ოღონდ მშვიდობა იყოს ქვეყნად

(მეოთხე გვერდიდან)

– მერე როდის, ახალწლის შემდეგ?

– ჰო, ასეა ყოველთვის.

არადა, ერთ სულზე საარსებო მინიმუმი როგორც ტელევიზიით მოვისმინე, ღღეს 240 ლარი ყოფილა, ეს თანხა საახალწლო სუფრის გაშლას ყოფნის თურმე. დანარჩენ ღღეებში რა, ადამიანს არსებობა არ უნდა? მაგრამ მარგო ჭამა ხომ არ არის მთავარი?

ამბობენ, სურსათსა და სხვა საქონელზე ფასების მომატება ნავთობ-პროდუქტების გაძვირებამ და საბაჟოზე კონტროლის გამკაცრებამ გამოიწვიაო. აბა, როგორ, როდემდე უნდა გვეცხოვრა ქაოსურ სახელმწიფოში. ბოლოს და ბოლოს, წესრიგი ხომ უნდა დამყარებულიყო? მაგრამ ნუთუ აუცილებელი იყო ისევ ჩვენ, წვრილფეხობა დავზარალებულიყავით? ალბათ, ბევრი რამ მართლაც არ მესმის, ჩემს ირგვლივ რა და როგორ ხდება.

მე ჩემსას მაინც ვცდილობ, ვძალაობ და მივყვები ხალხის ნაკადს ბაზრის შუაგულისკენ.

აქვე ახლოს, ჩურჩხელებსა და სხვა ბევრ სასიამოვნო ნუგბარს ყიდიან. ერთ მოვაჭრეს გამოვესაუბრე, გურჯაანელი მაშო მანშიაშვილი აღმოჩნდა.

– დეიდა მაშო, ამდენი ჩურჩხელა სულ თქვენი ამოვლებულია?

– არა, შვილო, მე არ ვამზადებ, ვყიდი ხოლმე, დამამზადებლები სხვები არიან.

– ეს როგორ?

– როგორ და წინასწარ ვურიგდებით, შეკვეთას ვიძლევთ და ყოველდღიურად იმდენი მოაქვთ, რამდენსაც ვითხოვთ. არ მოგაგყუონ, აქ ყველა ასეა, აბა შეხედე, თითქმის ყველა ერთი ზომისა და ერთი ფერისაა. რვა წელია, ამ საქმეში ვარ და ვიცი.

– თითოს როგორ ყიდი?

– შენ, რადგან კორესპონდენტი ყოფილხარ, ლარნახევარს გამოგართმევ, ისე ორი ლარი ღირს. ყველა ასე ყიდის.

მაღლობა გადავუხადე და გზა განვაგრძე.

იმერული ყველის გამყიდველი ნაირა კირკიტაძე 4 შვილისა და ავადმყოფი მეუღლის პატრონია.

– ყველს როგორ აფასებთ?

– 5-5 ლარი, სულუგუნი – 7 ლარი.

– გეყიდებათ?

– რომ არ იყიდებოდეს, დილიდან საღამომდე აქ ხომ არ ვიდგებოდი. აბა რა ექნა, 4 შვილს რჩენა არ უნდა?

მეუღლე რუსეთში იყო, მშენებლობაზე მუშაობდა, იქ დასახიჩრდა, ახლა მძიმე ავადმყოფია. რასაც ვშოულობ, იმასაც ვახმარ... სპეციალობით პედაგოგი ვარ... ყოველ 3 ღღეში ერთხელ ჩავდივარ ზესტაფონში და იქიდან ვეზიდები პროდუქტს. მაგრამ არ დავეძებ, კიდევ ვიშრომებ, ოღონდ მშვიდობა იყოს და ოღესღაც მაინც გვეშველოს...

თბილისელი თამილა სესიაშვილი ნიგოზს ყიდის, თვალს ვერ მოაშორებ, ისე ბრწყინავს თითოეული ღეპანი, ხარისხის მიხედვით ფასიც სხვადასხვაა – 12, 15, 20 ლარი.

– ძვირია ქალბატონო, თქვენი ნიგოზი!

– ძვირია, მაგრამ ხომ კარგია? – აქეთ მიბრუნებს შეკითხვას ქალბატონი თამილა და ჩემთან საუბარში დროს არ კარგავს – ალბათ გრძნობს, მისი ნიგოზის მყიდველი რომ არა ვარ.

ბაზრის მიმდებარე ტერიტორიები მთლიანად გარემოვაჭრეებმა დაიკავეს, როგორც ჩანს, ძნელია მათთან ბრძოლა, ისიც წინასაახალწლო ღღეებში.

კიდევ კარგი, ქალაქი დიდია, ბაზრები – საკმაოდ ბევრი. ჯერჯერობით ერთი რამის თქმა ნამდვილად შემიძლია, ბაზარი ბევრ ადამიანს აპურებს. ჯერჯერობით-მეთქი, ვამბობ, რადგან მწამს, მალე ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება და...

ნაზი იმნაიშვილი.

სათნოება

ყველაზე დიდი ღვეზელი კათარზისში და სხვა საახალწლო სიურპრიზები სუპერ ბებია-ბაბუებს

31 დეკემბერს, სათნოების სახლი „კათარზისი“ (დავით აღმაშენებლის 121. ტ. 95-16-46), 10.30-დან 11.10 საათამდე საქართველოში ყველაზე დიდი ვაშლის ღვეზელის (პეროგი) პრეზენტაციას აწყობს. ღვეზელი განკუთვნილია 2000 სოციალურად დაუცველი მოქალაქისთვის, რომლებიც სათნოების სახლში მოვლენ ღია კარის დღესთან („სადილი ყველას“) დაკავშრებით. ჩემპიონი პეროგი საყურადღებოა არა მხოლოდ ზომით და გაფორმებით, – მასზე იხილავთ თბილისელი გაჭირვებულების გზავნილს აფხაზი და ოსი თანამოძმეებისადმი.

17-დან 21 საათამდე გაიმართება კოსტუმირებული დარბაზობა ხანდაზმულთათვის. პროგრამაშია კონკურსები, –

1. საუკეთესო თეატრალური კოსტიუმი;
2. ცეკვა;
3. სიმღერა;
4. ლექსი ან იუმორესკა.

ყველა ნომინაციაში პირველი პრემია შეადგენს 50 ლარს, მეორე – 25 ლარს. გამოვლინდებიან აგრეთვე საუკეთესოთა შორის საუკეთესოები (კოსტიუმი+თეატრალური ნომერი), რომელთაც მიენიჭებათ წოდებები – „სუპერ ბებია (ბაბუა) – 2004“.

მათთვის დაწესებულია სუპერპრემია – 25 ლარიანი პენსია ერთი წლის განმავლობაში.

გამარჯვებულებს გამოავლენს სპეციალური ჟიური, რომელშიც შედიან საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები.

დაჯილდოების ცერემონია გაიმართება საღამოს 8 საათზე.

საღამო დასრულდება ფურშეტით.

კონკურსებში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ საპენსიო ასაკის ქალბატონებსა და ბატონებს.

დღის კალენდარი 30 დეკემბრისთვის

ამოდის 07.28
ჩადის 16.37
(ამოდის 07.01, ჩადის 15.31

წლის 365-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 1 დღე.

საეკლესიო კალენდარი

წმიდა წინასწარმეტყველისა დანიელისა და სამთა ყრმათა: ანანია, აზარია და მისაილისა (600 ქრისტეს შობამდე); ღირსი დანიელ აღმსარებლისა (X).

დაიბადნენ:

39 – გიგუსი, რომის იმპერატორი, ააშენა კოლიზეუმი.

1852 – იონა მეუნარგია, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1919 წელს.

1853 – ანდრე მესაგები, ფრანგი კომპოზიტორი.

1865 – ჯოზეფ კიპლინგი, ინგლისელი მწერალი. გარდაიცვალა 1936 წელს.

1869 – კონსტანტინე ამირაჯიბი, მეცნიერი. გარდაიცვალა 1948 წელს.

1884 – ხიდეკი ტოძიო, იაპონიის პრემიერ-მინისტრი მეორე მსოფლიო ომის წლებში, სამხედრო დამნაშავე, გარდაიცვალა 1948 წელს.

1904 – დმიტრი კაბალევსკი, კომპოზიტორი, გარდაიცვალა 1987 წელს.

1906 – კეროლ რიდი, ინგლისელი კინორეჟისორი, გარდაიცვალა 1976 წელს.

1908 – ზინოვი დუნაევსკი, საბჭოთა კომპოზიტორი, გარდაიცვალა 1982 წელს.

1918 – გიორგი მელიქიშვილი, ისტორიკოსი. გარდაიცვალა 2002 წელს.

1922 – ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე, ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ კაპიტანი, გარდაიცვალა 1980 წელს.

1942 – ვლადიმირ ბუკოვსკი, მწერალი, დისიდენტი.

გარდაიცვალნენ:

1691 – რობერტ ბოილი, ირლანდიელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი.

1863 – ალექსანდრ შურავიოვი, დეკაბრისტი.

1916 – გრიგორი რასპუტინი, რევოლუციამდელი რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე, დაიბადა 1864 წელს.

1937 – მაგჟან ჟუმაბაევი, ცნობილი ყაზახი მწერალი, დაიბადა 1893 წელს.

1944 – რომენ როლანი, ფრანგი მწერალი, დაიბადა 1866 წელს.

1968 – გრიუგვე ლი, გაეროს გენერალური მდივანი, ნორვეგიელი დიპლომატი, დაიბადა 1896 წელს.

1979 – რიჩარდ როჯერსი, ამერიკელი კომპოზიტორი, დაიბადა 1902 წელს.

1987 – ჯეიმს ბოლდუინი, ამერიკელი მწერალი, დაიბადა 1924 წელს.

მოვლენები:

1547 – ივანე IV-მ (მრისხანემ) რუსეთის მეფის ტიტული მიიღო.

1869 – პეტერბურგში გამოვიდა პოპულარულ ჟურნალ „ნივას“ პირველი ნომერი.

1887 – პეტერბურგში გაიხსნა პუშკინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა.

1922 – საბჭოების პირველმა საკავშირო ყრილობამ მიიღო დეკლარაცია საბჭოთა კავშირის (სსრკ) შექმნის შესახებ (კონფედერაციის სახით, რომელშიც შედიოდნენ რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა და ამიერკავკასიის რესპუბლიკები). მოსკოვი აირჩიეს სსრკ-ს დედაქალაქად.

1946 – გაეროს ატომური ენერგიის კომისიამ მოიწონა აშშ გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ამ დარგზე კონტროლის დაწესებას.

1947 – კომუნისტთა ძალდატანებით რუმინეთის მეფე მიხაილ უარი თქვა ტახტზე სახალხო რესპუბლიკის სასარგებლოდ.

1949 – საფრანგეთმა ვიეტნამს სუვერენიტეტი მიანიჭა.

1992 – ბრაზილიის გადამდგარ პრეზიდენტ ფერნანდო და მელუს კორუფციაში მონაწილეობისათვის აეკრძალა ოფიციალური თანამდებობის დაკავება 8 წლის განმავლობაში.

1991 – დაიშალა საბჭოთა კავშირი.

მედია-ნიუსი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებს კოლეგას დონარა ბერიძეს მამის
ბრიბონ ბერიძის
გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა 2 I, 13 სთ. სიღნაღში, დოდაშვილის ქ. №12.

სს უნივერმაღ „თბილისის“ კოლექტივი იუწყება ბატონ ვალერი კანკიას ძმის
ფრიდონ კანკიას
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აბდული კანკია ოჯახით თანაუგრძნობს ვალერი კანკიას ძმის
ფრიდონ კანკიას
გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ქო�ულია.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika